

# କୁମାରପାତ୍ର

ବିଦେଶୀ ଲୋକଙ୍କ ଜୀବନ  
ବିଦେଶୀ ଲୋକଙ୍କ ଜୀବନ

ପରିଚୟ ପରିଚୟ କାଳେ  
ପରିଚୟ ପରିଚୟ କାଳେ



1915



ମହାରାଣାମତ୍ତୁରେ

# କବିତାଭାବନ

ମେଲାର୍ଥମାଳା  
ପ୍ରକାଶକ  
ପାଠ୍ୟଗୁଣ୍ଠାନୀ.

ପ୍ରକାଶନ ଦିନ ୧୦-୧୧-୧୯୧୫

ନଂ ୫

ମେସାହ ୧୯୧୫



ମେସାହ



## შ ი ნ ა ა რ ს ი

I—გაზაფხული,—სურათი.....	1
II—ნაწყვეტები,—ლექსი პ. ჭუჩიშვილისა .....	3
III—მწყემსის წერილები,—(შემდეგი) ა. მცედლიშვილისა .	4
IV—გველი,—ცქაორისა .....	17
V—ძლენად შიო მღვიმელს,—ლექსი ა. სიხარულიძისა .....	22
VI—ტასიკო,—კლენე კლიმიაშვილისა .....	25
VII—ოქროს ფრთები,—თარიგმანი თაშარა კარბეჭაშვილისა ..	34
VIII—ლრობლები და ტალლები,—რაბიდრანათ თაგორისა თარგ. ნინო ნაკაშიძისა .....	38
IX—ჩიმპაკის ყველები,—რაბიდრანათ თაგორისა ნინო ნაკა- შიძისა .....	40
X—ბრძოლა ადამინისტრის ბუნებასთან,—(წერილი მეთერთმე- ტე) ივ. როსტომიშვილისა .....	42
XI—მცენარე და ადამიანი,—(წერილი პირველი) ილ. ალე- ქაშვალისა .....	56
XII—შემოწირულება .....	63
XIII—გასართობი,—შარალა და ალსნა .....	64



ନାରୀ ଉତ୍ସବ

1



ნუბჩუბდა სიცოცხლე,  
ამუსიკდა მდინარე,  
ლა ამ ხეებში იღვიძებს  
გაზაფხული მძინარე.


2

ဒေသ ဒေသ ပေါက်ဖြတ်  
ဒေသ ဒေသ ပေါက်ဖြတ်  
ဒေသ ဒေသ ပေါက်ဖြတ်  
ဒေသ ဒေသ ပေါက်ဖြတ်



### 8. ქუჩი შვილი.





## მუსეამისი ფერილები

(გაკრძელება)



ყალკურთხევამ გიორი, და ლამე „ოთარაანთ ქერივს“ უკითხავდი მწყემსებს. ბიჭებმა სამართლიანი შენიშვნეს, რომ ოთარაანთ ქერივი წააგავდა ფეიქრიანთ დალბაურის. ძალიან გულდასმით მიგდებლნენ ყურს, განსაკუთრებით ფირო, და როდესაც წავიკითხე გიორგისა და კესოს შეხვედრა, ფირომ გულამოსკვინით წამოიძახა:

— ნეტავ წყალკურთხევას წაისულიყავ სოფელშიო.

იქ თითქო ჩაღაცას მიუხვდი. რომ უფრო კარგად გამეგო, ვკითხე: — რისთვის გინდოდა წასვლა — მეთქი? ერთი ამოიობრა და წაილაპარია: — ხალხი სულ წყლის კურთხევაზე იქნებოდა და ყველასა ენახებოდი. იქ სულ მიგხვდი, რა ამბავიც იყო ფიროს თავსა, და ნუგეშად ეს ლა უთხარი; „შენ ლმერითსა სოხოვე სიცოცხლე, თორემ ყველიერი და ილდვომა წინ გვიძევს, მოვესწრობით იმ ქალის ნახვისა — მეთქი...“

ამასობაში კარგა ლამეც გისულიყო. ძალების ყეფა შემოგვემსა, რომელიც თან-და-თან ძლიერდებოდა; ბოლოს ეს

<sup>1)</sup> იხ. „ნიკაფული“, № 4.



ცეფა შებრძოლებადაც გადაიქცა. უკელანი გარედ გამოუტკიცება  
დით. ძალლები მცელს ებრძოდნენ. შაქრომ ხმა მისცა. უფრო  
გაბედვით შეებრძოლნენ ძალლები. ლომიას ყელში ჩიევლო  
მგლისათვის პირი, ალაშა კი ზურგში სცემოდა. ჩენ მიცცივ-  
დით და, რადგანაც შესაძლო იყო თოფი შემთხვევით ძალლე-  
ბისათვის მოგვერტყა, ჯოხები დაუშინეთ თავში მცელს. დიდი  
ბრძოლის შემდეგ ძალლებმა დააღრჩეს მცელი. მთელ ღამეს  
ღმუოდნენ, და ჩენც ალარ დაგვინებია.

### ჭირილი მითითობები


#### ცველიერი და გაზაფხულის სუნი.

დედამიწა აქრელდა. აქა-იქ თოვლი აილო და ხეებიდანაც  
ჩამოცვივდა. მზეც, თითქო ავადყოფი გამობრუნდაო, ისე  
გამოიყურება, და მეტ სითბოს გვაძლევს. როცა მყუდროზე  
დავჯდები, გაზაფხულის სუნისაც ვგრძნობ. ძროხა, კარგა რო  
მოიგლის მზე, კალაში გიმშლება; ხოლო ბინაზე ისევ აღრე  
ბრუნდება.

ცველიერი კარზე მოგვადგა.

შარშან შემოდგომაზე ერთი გარეული, დიდი ტახი მო-  
ჰკლა კალაში ჩემმა ძმამ. ეს ტახი ისე გაატყავეს, რომ თავი  
მთლიანად ზედ დასტოებს ტანზე, ხოლო რაც შიგ რბილი  
იყო—სულ გამოილეს. ახლა მიეხედი, რისთვისაც სლომებიათ  
ეს საფრთხეული.

ბიჭებმა მოძებნეს ტახის ტყავი და შეუდგნენ გამართებს. რო  
ვკითხე, რისთვის გინდათ, რომ ესე დაბეჯითებითა მარ-  
თავთ მეთქი, მომიგეს: „ყეენობისთვისაო“. ვიკითხე—რა არის  
„ყეენობა“—მეთქი, და ამისსნეს: „საქართველო რომ სპარსე-  
ლებზე გაიმარჯვებდა, იმათ ხანს (ყეენს) აქლემზე შეჭიდნენ,  
პირს ნახშირით მოუთხუპნიდნენ და ჩამოატარებდნენ  
ხოლმე ხოფელ-ხოფელ; ხალხი დასცინოდა და ყეენს ლორის



თავებს აჩვენებდნენ. იმ დროის მოსაგონებლად ჟურნალთვალი  
იშართება ხოლმე ეს „ყევენბათ“.

ტახი სულ მოაწყეს. რომელიმე მწყემსი ჩამოიცვავდა  
ზედ და მაშინ ეს წარმოადგენდა უკანა ფეხებზე წამომდგარ  
ტახს, რომელიც აკაპუნებდა გრძელ ეშვებს, როგორც იცის  
ხოლმე ტახმა შებრძოლებისა და მოგერიების დროს.

გათენდა ცუკელიერიც. დილით ძროხა ჭალაში გავრცელეთ;  
თან ძალლები გავაყოლეთ; ხოლო ბინებზე პატარა ბიჭები  
დავტოვეთ; ზოგი ძროხასთან გავვზავნეთ, და ჩვენ, ერთად  
შეჯარებულნი, გაემზადენით სოფელში წასაცელელად.

ტახი ცხენზე შევსვით, წინ გავიძლოლეთ, რამდენიმე  
ბერეკა უკან მივაყოლეთ და დანარჩენებიც ცხენებით გავ-  
შევით.

სოფელში შევედით, ცხენები თავთავიანთ სახლებში  
გავვზავნეთ და ჩვენ წავედით სამების გორაზე, სადაც მთელი  
სოფელი შეყრილიყო და ყევნს ელოდა.

რადგანაც ჩვენ სოფელში აქლები არ იშოვებოდა, უკე-  
ნად ჩატული კაცი ვირზე უკულმა შეესვათ, პირი ნახუირით  
მოეთხუპნათ და ისე დაპყავდათ სოფელში.

ბოლოს მოიყვანეს ყევნიც. ხალხმა ასტება სიცილი.  
გადახტა ჩვენი ტახიც და წაუკაპშუნა კბილები; თან მიაძიხა:  
„ყევნო, ჩემ ხორცს არ მიირთმევო.“ ხალხმა სიცილი დაი-  
წყო.

ერთი ბერეკა მივარდა ყევნს, გადმოაგდო ვირიდან, შემ-  
დეგ ააყენა, წაავლო ხელი, მიიყვანა ბართან, თოხთან, ნიჩაბ-  
თან და ჰკითხა:—აბა გვიჩვენე, ყევნო, ქართველები ვენას  
როგორ აკეთებენო.

ყევნმა აიღო ნიჩაბი, ბარსავით ფეხი დაპირა და სთქვა:  
„ეს ასეო“. შემდეგ აიღო თოხი, აჩიჩნილს ტკეპნა დაუწყო  
და კიდევ დაუმატა: „ესეც ასეო“. ბოლოს აიღო ბარი, ბა-  
ლახს ფხეკა დაუწყო და სთქვა: „ესეც ასეო“; ტახმა კიდევ



წამოურბინა უკანიდან, ამოქვრა ეშვეი და უთხრა: გარეული მიზანი სწორედ ასეო“.

ხალხმა გადაიხარხარა და აირია. ყევნი ისევ ისე შესვეს ვირჩე უკულმა და ხალხში გაატარ-გამოატარეს; ბოლოს ცი-ხეში წაიყვანეს. მხოლოდ ბერეკები და დარბოლენ. წრე გააკეთეს და დაიძახეს—ჰიდაობაო. გაისმა საჭიდაო სიმღერა; გადმოხტა კიდეც ეილაც მკერდ-განიერი ჭაბუკი, რამდენჯერმე შეითამაშა და თვალი მიაპყრო მოპირდაპირეს. რაკი შეატყო მოპირდაპირე ჯერ ისევ იცვამდა, მკეირცხლად შემოუარა წრესა და ლეკური გაუსო. შემდეგ შემოტრიალდა მეორე მხრიდანაც გამოხტა შავვერებანი, ქოჩიანი ბიჭი. ჯერ ერთ-მანეთს ხელი ჩამოართვეს ღიმილით, შემდეგ განშორდნენ ისევ და ბოლოს დაეტაკნენ ერთმანეთს; ხან ერთმა წააბარ-განავა, ხან მეორემ. ხალხმა შეჰყვირა. სიმღერას კი მოკიდა-ვეთა გასამხნევებლად გაპქონდა გუგუნი. ფილაურის ბიჭმა დაიტაცა ყანდაურელი ჯანჯალა, მაგრამ ჯანჯალამ უეცრივ შეაყენა, შემოიქნია, მოიდო კისერზე და დასუა ძირს. ხალხმა შეჰკივლა.

გამარჯვებული შეხტა მაღლა, შემოტრიალდა, შემდეგ მიერადა, დასტაცა ხელი წაექცეულს, წამოაყენა, ორივემ ერთ-მანეთს დაპკოცნეს და განშორდნენ.

ხალხში მითქმა-მოთქმა წავიდა: ძან ბიჭია ჯანჯალა; ძან ყოჩალად მოერია! ძან ბიჭი ყოფილა, ძან!..

### 7060ლი მითორევათი

#### წმ. ალდეგომა და ნიშანი.

იმ დღეს, დილით ალდე, შინიდან ჩავედი და პური ჩა-ვიტანე, ზალიკო შემოვიდა ვომში და მახარა: კარგი ვქენი, თავდაფარცხნილი გავედი დილას გარეთ, თორემ თფლფი დამ-ძლევდაო. შემდეგ შაქრო შემოვიდა და იმანაც მახარა:—



ჩეენმა მერცხალა კამერმა სახარე ზაქი მოიგონ. შექმნილ კერძო კულტურულ კუ დაასრულა სიტყვა, რომ ფირო შემოვარდა სიხარულით:— სონას ფურმა საფურე ხბო მოიგონ, მე კიდევ მიუბრუნდი ფიროს და გახარე:— წუხელ იმ ქალის მამასთან ვიყავ, შენ რო მოგწონს, და თანხმობა გამომიცხადა თავისი ქალის შენ-ზე გამოთხოვებაზე-მეთქი. ფიროს შერცხვა და ულვა-შებზი ჩიცინა.

ზაქრომ ტაში შემოჰკრა და შეხტა მალლა, ქორწილსა ვქამთო. მე უთხარი ფიროს: — უნდა იღდგომას მიყიტანოთ ნიშანი, და ამიტომ ახლავე შინ უნდა წახვიდე და სამზადისს შეუდგე მეთქი.

ახლავე ირა: სალამოზე, საქონელს რომ დავაძინავებთ, ორივენი ერთად წავიდეთ; ხვალ მოვისწრებთ ყველაფრის მომზადებასთ.

სალაშოთი ბევრი კაჭახები და ძველი თივა მოვაქუჩეთ, დოდი ჭიაქოკონა დაგანთეთ, ზედაც გადაეხტით და ისე წავე-დლით სახლში ცხენებით. ზალიკ და შაქრო დავტოვეთ ბი-ნაზე. ზალიკომ დაგვაბარა:— ვინმე ბიჭი გამოგზავნეთ თქვენ მაგიერ ხვალ, თან ლეინო და შელებილი კვერცხები გამო-ტანეთო.

ზაბათ დღეს ყველაფერი მოვამზადეთ. ბეჭედი და ბალ-ადი იყიდა ფირომ ქალისათვის. ლვინო ჩასხეს ტიკში, პუ-რით გაავსეს ხურჯინი და ურემიც გაამზადეს.

იმ ღიმეს მე და ფირო ერთმანეთს არ გავშორებივართ. მეც იმათხა მეძინა. ფიროს მშობლებმა დიდის პატივით მიმი-ღეს, მაგრამ ბოდიშს იხდიდნენ, რომ სახსნილოს ვერაფერს მოიტანდნენ ვახშმად, რადგანაც მარხვა იყო და მეორე დღეს ხსნილდებოდა.

შეა ღამისას მოისმა ზარის რეკა. მე და ფირო წამოვხ-ტით, ჩაფიცვით და გავეშურენით ეკალესისაკენ. მოხუცებს აღარ დაუცადეთ.



ეკულესიი ხავსე იყო ხალხით. ათასი სანთელურად შეძლა და ცეკვის სახეზე მხიარულება ბრწყინვადა. ეკულესიაში შევვედით. მივიხედ-მოვიხედე და დავინახე ფიროს საცოლე სონა, რომელიც თავის მშობლებთან იდგა. მე მივედი, ხელი ჩამოვართვი და, თუმცა მღვდელს ჯერ არ ეთქვა „ქრისტე იღსდგა“, მე მაინც მივმართე ამ სიტყვებით სონას. ფიროს შერცხვენოდა და გარედ გაპარულიყო. რადგანაც სოფელში წესი არ არის ქალებში იდგეს კაცი, სალაშისა და მილოცვის შემდეგ მეც გავშორდი მათ და გამოვედი გარედ.

ხალხი ეკულესიიდან გამოვიდა. ლიტანია მხიარულიდ შემოუარეთ და ეკულესიაში ბოლომდის დავრჩით. ფირო გულასმით უგდებდა ცურს მღვდლის სიტყვებს და წიმისურნიული ყურში:—სხვა დროს არ მიფიქრია ლვდლისთვის მომესმინა, რადგანაც მეგონა—ვერას გავიგდებდიო..

გათავდა... ისევ ფიროსთან წავედი სახლში, მიულოც მათ ოჯახს ქრისტეს ალდგომა და შემდეგ მითხრეს:—ცოტა ხანს დაბრძინდით, ვისაუზმოთ და შემდეგ სადილიდ სასიმართლისთან უნდა წავიდეთ და ნიშანი წავიღოთო.

საუზმის შემდეგ ურემი შეაბეს; ახალგაზდა ქალები ჩისხდნენ შიგა; გაატულაშუნა მეურმებ შოლტი და წავედით. ქალები დაირას უკრავდნენ, ხოლო ფიროს მოკეთე ბიჭები ურემს უკან მისღევდნენ სიმღერითა.

ძალიან კარგა დაგვხედა სასიმართლო. ქალსაც შეტი მხიარულება ეტუობოდა, მაგრამ მორცხვობდა. ვკითხე:—წერა-კითხვა არ იცით—მეთქი, და არაფერი მითხრა. მარტო გაიცინა, თავი დალუნა და მოშშორდა.

დაუკრეს დაიარო-ტაში. ფიროს ვსთხოვე, ეთამაშებინა საპატარძლო ათამაშა. ითამაშეს სხვა ყმაწვილ-ქალებმაც. საპატარძლომ დაირა დაუკრა და ახლა სხვა ყმაწვილ-კაცებმა ითამაშეს.

მოახლოვდა სადილის დრო. მასპინძლებმა მიგვიწვიეს სადილზე. დავსხედით—აირჩიეს თამაღათ ერთი მოხუცი კაცი,



ეროვნული

რომელიც სულ ლექსებითა ლაპარაკობდა. პირველი და უკანას ეს  
ტე აღსდგა“ დაიძახა თამიდამ და შემდეგ ადლეგრძელი თჯახი.  
მერე შეხედა ერთად მსხლომ მეფე დედოფალს, რომელნიც  
არა-ჩვეულებრივად იღტაცებული იყვნენ ამ დროს, მათ სა-  
ხეს სიხარულის მღელვარება ეტყობოდა. მღვდელმა ნიშანი  
აკურთხა.

თამადამ შეხედა მეფე-დედოფალს და გრძნობით წარ-  
მოსთქვა:

მათ თვისთა მქონეტთა წაულის  
გული, გონება და სული;  
ბრძენი ჰხამს მათდა საქებრად  
და ენა ბევრად ასული-ო.

უსურეა დიღხანს სიცოცხლე და უთხრა:—ღმერთმა და  
დღევანდელმა აღდგომის მაღლმა არ დაგვაერყოთ ნათესავები  
და მოკეთებით. ხოლო ბოლო-კი მაინც ლექსად დაათავა:

რაცა ვის რა ბეღმან ჩისცეს—დასჯერდეს და შას უბნობდეს:  
მეზა მიწყო მუშავობდეს, მეომარი გულოვნობდეს;  
კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უცვარდეს და გამოსცნობდეს,  
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.

— ღმერთმა გადლეგრძელოთ და გამყოფოთ, ჩემო გვრი-  
ტებო, გულსაესეთო!

ცველა სადლეგრძელოზე ლექსები სთქვა. ჯერი ჩემზე  
მოდგა. იილო ყანწი, მომისხენა, როგორც ნათლია, მომა-  
ვალი მეჯვარე და მითხრა იყავის ლექსი: „ჩონგურს სიმები  
აუბი, მოვმართე ნელა-ნელაო. მშეენიერ“ კილოზე აჩბობდა.  
მე ვკითხე,—ვისია ეგ ლექსი-მეთქი, და მან მიპასუხა: შოთა  
რუსთაველისათ, თანაც დაუმიატა:

ქართული ენით მოლექსე  
რუსთველის წინა ვინ არი?

არავის უთქვაშს მის ცალი,  
მის ტოლი არავინ არი:  
თორმეტი საუკუნეთი  
რუსთველის აზრი წინ არი,  
და მის ნაქები მწერლობა  
ჯერაც-კი აქამდინ არი.

ყველას სიღლეგრძელო ითქვა ჩეენ ახლა თამაღა ვად-  
ლეგრძელეთ; იმანაც აიღო და სამაცლობელის ნაცვლად ლექ-  
სი სთქვა:

დავბერდი-დავჩიჩანაკუდი,  
წვერი შემექნა ჭალარა;  
შინ ჯალაბს მოვძულებივარ,  
გარედ უნდივარ იღარა.

ჩეენმა მასპინძელმა შეუქმამალლა:

— ნუ გაგრეხია გული, მოხუცო, გაშიარულდი: შიში  
ვერ იხსნის სიკვდილსა — ურდია დალრეჯილობა\*-ო, და შემოს-  
ძხეს კახური მრავალ ეამიტრ...

გავათავეთ. დალამდა კიდეც, მე და ფირო გამოვემშვი-  
ლობეთ ყველას და ცხენებით წამოვედით ბინაზე.

## დ ე რ ი ლ ი მ ა ვ ა მ ი რ ი

### გაზაფხული.

ალალანდა მინდვრები. ტყესაც დაეტყო სიმწვანე.

მუხასაც გასციცდა ძველი, გამხმარი ფოთლები და ახალს  
მისცა გზა. მერცხალმა დაგვპიკერა, ტოროლამ გააპო ჰერი,  
ჩაეკრა ზეცას შეკრდში, ჩაჰკოცნა, ჩაჰკოცნა და ქებათა-ქება  
უძღვნა ბუნებას.

სალამო ეამს შემწვანებულ ბუჩქებიდანაც მოისმა ნაზი  
და დინჯი სტვენა ფრინველთა პოეტისა.



ცხვარი ბლავილით გაიშალა მწვანე მინდორზე და მის მიერ ხელი დანაგარდობენ ქალაში.

მშე ადრე ამოდის და გვიან ჩიდის. დილის რიერაჟზე კურდლები დახტუნავენ ველზე. ფრთხილი ხოხობი გამოძერება ჩალებიდან, დაიყივლებს და ისევ შეძვრება. ნიავს კი მომაქვს სუნნელება იისა და სხვა ათასგვარ ცვავილებისა. საქონელი გომში აღარ შეგვიდის, მაგრამ არც გაშვებულია: ღამე ბაკში ვამწყვდევთ, რომ არ გაიპარნენ და ჯეჯილი არ წიახლინონ.

მშრომელი ხალხიც გაიშალა მინდვრად: გაისმის ტკბილი ოროველა გუთნის დედისა და ერიამული მექრებისა. ღამის სიჩრდეს არღვევს ღამის მექრის სალამური და მწყემსის შიორები ჩონგურზე.

აიშალა მუდალოს თათარიც. მთისკენ მიდის. იი, მალე ჩეენი მეზობელი მეცხვარეც წაასხამს მთაში ცხვარს. სხვებიც აიშლებიან და დავშორდებით ერთმანეთს.

ვინ იცის—ჩეენ სად მოგვიხდეს ყოფნა და იმათ სად...

ფიროს გაუტანია წიგნი, გადაუშლია ერთი ვერხეის ქვეშ ჩრდილში. შაქროს უკითხავს „ვაერა-ფშაველის“ ეთერიანს. ფირო გულმოლგინედ კითხულობს; შაქროც გულმოლგინედ უსმენს. როცა ფირო გაათავებს, ახლა შაქრო წაიკითხავს „ბაზტრიიონს“, და სიამოვნებით იზეპირებენ სხვა-და სხვა საკმირო აღგილებს.

შაქროს ძალიან მოსწონს გმირული ლექსები. ხშირად იტყვის ხოლმე ზეპირად:

ალუდა ქეთელაური  
კაცია დაელათიანი,  
საფირხნოს თავსა დაჯდება,  
სიტყვა მოუდის გზიანი;  
ბევრ ჭისტს მააკრა მარჯვენა,  
სკალა ფრანგული ფხიანი...

თვითონაც იციან გაგონილი, ხალხისაგან გადამცემული ზღაპრები. ლამ-ლამე სხვა არაფერი საქმე გვაქვს, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს ზღაპრები უთხრათ. ერთი მეტად შევენიერი თქმულება მითხრა ზალიკომ. იმ თქმულებას მე მოგწერ, ქილაქელო მეგობარო, ლექსად, რომელსაც სახელიად ერქმევა „სალამური“.

უნდა გითხრა, რომ ლამე მეტის მეტ შიში გართ. თათარი მიდის მთაში, ამიტომ ძალიან გვეტანება, რადგანაც ახლია ქურდობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვა დროს: მოპარულ საქონელს თრიალეთამდე გზაში გაჰყიდის და მალეც ვეღარ ვიპოვნით ქურდსა. ლამე შიშით თვალი ვეღარ მოვიხუჭია.

წველვა უკვე დაეიწყეთ. ორი გუდა ყველი კიდეც გავაკეთეთ. ორ გუდას კიდევ გავაკეთებთ, და ჩვენც წავალთ მთაში.

### წმილი მეთოთსამით

#### მზადება მთისაკენ.

მაისი თავდება. საქმაოდ ჩამოცხა. კალაში აღმარ გაიკლება, რადგანაც გველებითა და ხელიკებით აიგხო. მუმლიც გვაწუხებს. წყალიც აშშორდა, გომშიც აღარ შეისელება, რადგანაც რწყილები გამრავლდნენ; ამიტომ გული მთისაკენ იწევს. ჩვენ კიდევ ვერიდებით ბუზებს, კოლოებს; საქონელი კი მეტ შეწუხებას განიცდის. ყველანი წავიდნენ მთაში; მხოლოდ ჩვენდა დაერჩით. მუღალოც დაცარიელდა. ცოტანი-ღა არიან. ისინიც, უკველია, ჩვენი წასვლის შემდეგ წავლენ.

ვეუბნები: ნუღარ უყურებო-წავიდეთ მეთქი. ზალიკო თანახმაა. დღეს შევაესებთ მეოთხე გუდას და უკველიად ამ ერთ კვირაში წავალთ. დაახლოებით ასეთი გზა გვაქვს არჩეული. ერთი ბიქი შინიდან ურემს ჩამოიტანს,—დაუდებთ ბარგი-ბარხანს და გავატანთ სახლში. იქ ყველს ოთხად გავ-



ყოფთ: ერთი გუდა ზალიკოს შეხვედება, ერთი შეუძლიერებელი მდგრადი ირიცი—მე და შაქრის. დანარჩენ ბარეს ცხენებს აკიდებთ, მიერ-შეველიებთ სახლიდან ვისმე და წინ გავატანთ მთაში, საღაც უნდა ბინა გააკეთონ. შაქრის ბინასთან ერთად გავვარენით ქოხის გასაკეთებლად, ხოლო ჩვენ,—მე, ფირო და ზალიკო,—ძროხას გაიღრენ და.

მხიარულება გვეტანდა ცველას. უკვე ვერაძნობთ მთის მშენებელისა და მაცოცხლებელ ბუნებას. მაგრამ უბედურება ის არის: სანამ მოვეწყობით და დავბინავდებით, ზევრი წვალება დაგვჭირდება. დიდი ტყები უნდა გავიაროთ და ზოგან ძროხა დაგვეკარგება, ზოგან კამები. იმათი დევნით გული გადაელევა აღამიანს.

გზაში თასნიორი უქმოხევება ხოლმე. ერთ დღეს ვერ ავალო მთაში და ამიტომ საღმე უალაგო ალაგის უნდა გა-  
დათიოთ.

ძნელია, მაგრამ „ვარდი უკელოდ არავის მოუკრებ-ბიათ“,—მეტყველის ხოლმენ წერი ძმა.

არც დიპლო ბიქუნდა უნდა მზა-მზარეულზე დაჯდომასთ, —  
დაუშემტებს ხოლმე ფიროვკა.

მე ვისმენ შეთ სიტუაციას და ვემზადები შრომითა და წევალებით ცხოვრებისათვის.

© 2016 01 01 00:00:00

ქალაქელი მეგობრების გახსენება

— იოსებ, მოდი და ერთი კარგი საქმე ჩაილინე, — მით-  
ხრა ფიროს.

— Հա Տավիթի՞— զյուտեղ.

— აი, შენ რომ მეგობრები გყოლია ქალაქში, რომელთა დაშორებასაც ისე დაზღვისა, მისწერე ერთხელ გვეწვივნენ; ღმერთშენი, ისეთ დროს გვეატარებინდათ, ისეთ პატივსა

უცემთ, რო ნიავსაც არ მივიკარებთ. უფრო კარგი აუქნიერება.

— ისინი აქ არ მოვლენ, — უთხარი მე.

— რატომ?

— არ გვიკადრებენ!

— ვითომ რატომ? შენ რითა გჯობიან, რომ იმათ არ გვიკადრონ? შენზე მეტი იციან?

— იციან მაშ! — მიუგი მე.

ფიროს ეწყინა, რომ იმათ მეტი სცოდნიათ ჩემზე და მითხრა: — რასაც გკითხავთ, ყველას კი იგვიძენი ხოლმე, და უკეთესად ცოდნა როგორილა უნდა იყოს!

— იმათ ჩემზე მეტი იციან, ფირო, ჩემზე მეტი! ისინი უმაღლეს სასწავლებელშიც წავიდნენ, და მე საშუალოც არ გამითავებია.

— რატომ არ გაათავევ?

— ვერ შევძელ, მუხლი არ გამჟღა იმათთან, — ვერ გაუწიე უღელი, და დამითხოვეს.

— განა ისინი შენზე პკეიინები იყვნენ?

— ალბად.

ფიროს ეწყინა. სახის გამომეტყველება უმტკიცებდა, რომ ის სიამყე, რომელიც ჩემითა ჰქონდა, ეკარგებოდა. დიდი ხნის დალონებისა და დაფიქრების შემდეგ წამოიძახა: — ისინი შენ სრულებითაც არა გჯობიან! ჩვენთვის შენ მილიონებად ლირხარ; ისინი კი იმ ჩალადაც არა ლირან, ამ ზაფხულს ჩვენ გომებზე რომ დალპება უმნიშვნელოდ.

— ეგ კი შეიძლება, რომ კერძოთ თქვენთვის მე მეტად ვლინდე, მაგრამ ისინი ჩემი ისეთი კარგი შეგობრები იყვნენ, ისეთი კარგი, რომ ახლაც გული მერჩის მათთვის. ჩემი სი-დუმლოება, მხოლოდ იმათ იცოდნენ. ჩვენ ერთმანეთზე დიდ იშედებსაც ვამყარებდით: ვოცნებობდით მოჩინეალზე, რომ სამშობლოსთვის ვიზრუნებდით, რომ ჩვენ ქვეყანას ნაყოფს მოუტანდით; მაგრამ დავშორდით ერთმანეთს: ცხოვრებამ მიმოგვფანტა. მე მწყემსი ვარ, ისინი ნაფიცი ვექილები და დიდი



ექიმები გამოვლენ... რაღას გვიკადრებენ, ან სატელევიზია  
ან მოსვლისათვის. ერთ დღესაც ეყრ გასძლებენ ჩვენთან.

— ჰო, და აკი გეუბნები, სრულიადაც არ არის მართალი,  
რომ ამბობ—ისინი მჯობიანო. შენ ბევრადა სჯობიხარ იმათ,—  
გამასამართლა ფირომ.

— ხომ გაგიგია ჩემო ოსიბებო,—მითხრა შექრომ:

„ჩემი ურჩები მაწონი ძალისა, ჭოთანი ქვისაო.“ ისინი  
ჩვენი ურჩები არიან და ფასიც არა იქნა ჩვენთვინ.

— ეგ მართალია, შაგრამ ჩემზე ნასწილები მაინც არიან.


— მაინც მოდი—შეეცადე, —მითხრა შექრომ: იქნება მო-  
ვიდნენ. ბარება ენახოთ, შენზე ნასწილი აღაშიანები როგო-  
რები არიან; მათთანაც კავშირიდავიკიროთ; იქნება როგორმე  
ისინიც მოვაჭყიოთ და ჩვენად გავხადოთ.


— ვნახოთ,—მიუგე მე. მაგრამ კარგად იცი, ჩემო ძმო  
შიხაკო, თუ რამდენად შესაძლებელია მათი სურვილის ასრუ-  
ლება. შენ და შენს ამხანაგებს ახლა კარგი ჯამაგირები გექ-  
ნებათ, თბილ კაბინეტებში იქნებით გამოწყობილი, ფეხით  
არც კი იკადრებთ თეატრში წასელას, თუ არა ფრიმობი-  
ლით, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სახლიდან თხუთმეტი  
ნაბიჯის მანძილზეა იგი. მოდი და ამისთანა ხალხი მწყემსებ-  
თან შიიპატიებე. სასაკილოა მწყემსების გულუბრუვილო წა-  
დილი, მაგრამ არ მინდა აუხსნა მათ ყველაფერი, რადგანაც  
ყველა ნასწარების იმედს დამკარგავენ. თავის დროზე აუხსნი  
ყველაფერს, და იქნება ისეთი დროუ დადგეს, მე და ეს მწყემ-  
სები გვთანასწორდეთ ცოდნით ერთმანეთთან, თავისუფლად  
ვლაპარაკობდეთ.

მაგრად ვიკეთებ ბუდეს, რომელშიაც უნდა ეიყო სიკედი-  
ლამდე.

#### მ. მწყედლიშვილი.

(შემდეგი იქნება)





## გ ვ ე ბ

თისკენ გაქცეულ შევ ღრუბლებში  
ცეცხლის ზოლივით ელფა უქა-  
ნასკნელად კიდევ გაიკლავნა, ღი-  
ღი ხევ-ხუვი ერთი წუთით გაანათა-  
და საშინქლ გრგვინვასთან ერთად  
საღლაც გაჰქრა და გადაიკარგა.

შხაპუნა წვიმით პირ-მობანილ არე-მარეს მზემ სიცილით  
ჩამოხედა და ნამტირალევი მთა-ველი უფრო გაამშვენიერა.

მთაზე წვიმის ნაკაღულები ვერცხლის მზგავსად ალაპ-  
ლაპდნენ; ყვავილები უფრო ძლიერ იფერალდნენ და ცელქ-  
ნიავს მშვენიერი სუნი ბარში ძლვნად გამოატანეს.

მორთული და მოქაზმული ტყე ახლა კი ძეირფას სამ-  
კაულს ეეღარ იშაგრებდა; ფოთლიდან ფოთოლს თითო ცე-  
რი მარგალიტად ზედ ეყიდებოდა, დაბლა დაცურებული,



ბეჭყარიალ-ბზინვით სხვა მარგალიტს უერთდებოდა და უფლება მიმდებოდა და მის ცვილი.

მათი დენა გრგვინვა-ქუხილის შემდეგ მიწყნარებულ ტყე-ში მუსიკის ასე ისმოდა: კაპ, კუპ, კაპ, კუპ...

ზოგჯერ კი საღმე კლდის ნაპრალს ჰაწია კენკები და ქვიშა მაღლიდან უცებ მოსხლტებოდა და წვეთების წყაპა-წკუპთან ერთად საიდგანლაც იდუმალებით დაიშრიალებდა და ისევ მიყუჩდებოდა.

აგერ ზემოდ მთას ოხშიგარი ავარდა და ცა და ქვეყანა ერთმანეთს შეუერთა. გარშემო კი მშე უხვად ნათელსა ჰუკე-და, ქვეყანას ათბობდა და ყველას სიამით ამოძრავებდა

ყველაზედ უწინ კურდლელმა თავშესაფარი დასტოვა, ჩირგვიდან გამოლებული გამოვარდა, ბეკი თვალებით გაღვ-რეპილ ყანას გაღმოხედა და კუნტრუშით დაბლა დაეშვა.

მთის ძირასაც რაღაცამ დაიშრიალა, ნაზი შროშინა და ლუსუმა წელში მძიმედ მოხარა, მწვანე მოლს ზოლივით გა-დაუარა, და აგერ გველიც გამოჩნდა. მან ბალახებიდან ჯერ მხოლოდ თავი გამოჰყო, მტერი ხომ არსად მელისო, შემ-დეგ ზემოდ იცყაყვა, მოცყკვავესავით ნახვარ-ტანი რამდენ-ჯერმე ჰაერში შემთატრიალა და შემდეგ თავის უფლად გა-ცურდა...

მიღის-მისრიალებს და ისე სწრაფიდ მიკულაკნება, რომ ქვებსა და ქვებ შეა მისი კუდი შხოლოდ ერთ წამს გამოჩნ-დება და ისევე მილე ჰქერება. ბალახებზე კი სველი და ლიპი სხეულით უფრო თავისუფლად მისკურავს.

აგერ მისი ამორჩეული ადგილიც...

ჭოწლოკინა სიპი ქვა მზისაგან კიდეც გამობარა. გვი-ლი მიცურდა... ჯერ ქვის გარშემო ისე შემთავარა, თითქოს რაღაცა დაათვალიერაო; შემდეგ კუდი ქვის შეა წელს მიაბ-ჯინა და, როგორც ფირფიტას ახალ ნახარში აბრეშუმის ძაფი, ისე მჭიდროდ შემოეხვია და სიამოვნებით გაინაბა.



ქვემოდ თბილმა ქვამ და ზემოდან კი მზის ჟურნალის ცენტრული კურსის გველს, სიამესთან ერთად, თითქოს შხამი აუდულით, თავით-ბოლომდინ ჩაღაც ერთან ტელმა დაურბინა და ის ძალა აგრძნობინა, რომ იმ წამს ერთი წევეთი მისი შხამისა ცველის სიკედილს მიანიჭებდა, ცველის გულისთვის, ცველის გრძნობას და ძლიერების არარად შექმნიდა და გააქარწყლებდა.

ამასა გრძნობდა ნებიგრობის და ნეტარების ქამს გველი და იმ ძალას ბუნების შემოქმედებით ძალას უნებურად უპირდაპირებდა, და თან უფრო გესლ-მორეული გარემო შევნიერების ხილვით-ერთსა და იმავეს ფიქრობდა: „თუ შენ პქმნი და ასულდგმულებ, მე ვსპობ, და ი ეს ძალა—ჩემი სული და არსებაა“—.

მართლაც და გველსა და დანარჩენ ცხოველთა შორის განსხვავება უფრო იმაში იხატებოდა, რომ იმ დროს, როცა ცველა ნეტარების ქამს არსებით ტკბებოდა და მთელი ქვეყნისთვის კეთილს ნატრობდა, გველს შხამი უფრო ემატებოდა და გულიც გესლით ევსებოდა.

მზე-კი იმ წამს ქვეყანას ერთნაირად უალერსებდა... მინავრად ყანა წყნარად მიღი-მოღიოდა და იდუმალი შრიალი ვიღასაც დიდებას უძლენიდა.

ცვავილები მიწას გულ-მკერდს უშვერებდნენ და მოზუზუნე ფუტკართ სიტკბოებას სიხარულით სთავაზობდნენ. ირგვლივ სიცოცხლის ხმა და ფრინველთა ტკბილი ჭიკჭიკი ისმოდა.

აგერ ერთი გულ-ცვითელა ნაზი ფრთხისანი ცვავილებს ხის კენწეროდან რა ეშით გალერსება. აჲა! ცელარ მოითმინა, გიშრის ნისკარტი ტოტს მეტად კოხტად გაუსც-გამოუსვა, გაშალა ფრთხები, ტყვეისავით ძირს წამოვიდა, ცვავილთ გროვაში ჩაიმალა და მოჰყვა მღერას.

მღეროდა მთელი არსებით, ცოველი ჰანგით ქვეყნის შემოქმედს დიდებას უძლენიდა და ცვავილების სილამაზეს



ლექსად თხზავდა. ყვავილები ხან იცინოდნენ, ჰმის შემსრულებელი ყვალისთან ერთად სულსა ნაბივდნენ და ყურს უგდებდნენ. შროშინა კი ჩაფიქრებული რუს პირიდ ნელა ირხეოდა და თავისთვის წყნარად იძახოდა:

— ნეტავი მაგას: რასაც გულით გრძნობს, მოქარგული ენით იმასვე ქვეყანას ამცნობსო.

გველმაც მოპერა ფრთოსანს თვალი თუ არა, ვონება და გული სხვა განზრახვით იუმოძრავდა. ფრინველის მხიბლავება მღერამ და სილამაზემ პაწია ჩიტუნის ძალაც იგრძნობინა და ბოროტება უარესად გაუცხოვლა.

— ახლავე ვნახავ, რა ძალაც შეგწევს,—გიოფიქრო მან, ქვას უცებ შემოგლეჯილ რეალიცით შემოეცალა, მაღალ ბალახებ შორის წყალივით გაძერა და დაიკარგა.


ცოტა ხნის შემდეგ გველმა ყვავილებს ახლო ბუჩქნარიდან თავი ისევ გამოჰყო და გაშტერებული თვალებით ფრთოსანი თითქოს მიზანში ამოილო; შემდეგ რამდენიმე წუთით ორ-კაპიანი გრძელი ენა გამოაწვდინა და პატიში ისეთ ნიირად მიატრ-მოატრიალი, თითქო ენით სუნს იღებსო. მერე უცებ დიხლავნა, ისკუპა და ფრთოსანს თავზე მეხივით ისე დაატყდა და ისე მაგრა შევლანქა, რომ პაწია მგალობელს უკანასკნელ კრიმატულთან ერთად სულის თქმაც უცებ შეუწყდა...


რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გათვავდა. გველმა ფრინველი მთლიანად გადასანსლა და კლდე-ლრისაკენ დასამალიად ისე ზანტად გამოცურდა, თითქოს სიცოცხლე ეზარება და ყველაფერი ქვეყნად მისთვის სულ-ერთიაო. მაგრამ იმავდროს, როცა იგი თეორ ყვავილს წელში ხრიდა და მიწაზე მიკრულ ყვავილებზე თავისუფლად მიცურავდა, მის გაშტერებულ თვალებში თი ეს ნათლად იხატებოდა: თი, ესა ვარ, რაც ვიყავ,—მუდამ ბოროტის მთესველი და სეთი დაუნდობელი ჩემი ბუნება ემთა ვითარებიდან ისევე შეუცვლე-

ლია, როგორც შენ, მიწას მიკრულო კვავილოზ მუჭოთ უყვარება  
შენ შენი სახე მუდამეამს უცვლელი გრძება—შეც უცვლელი  
ვარ მუდამ და ყველგანო!

იმ დროს კი ბუნება ისევ თვალთმაქცეციით ათასი სახით  
კმილულობდა და თვალისა და გულს არ აჯერებდა, რომ მის  
წიაღში გველი მუდამ შხამით იბადებოდა, და ფრთოსანი კი  
მის სალიდებლიად სულ სიყვარულზე გალობდა.

ცქივილი.





## მღვნად შიო მღვიმელს

(ოცდა თოთ წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის გამო)



აფშის უმანკო ღიმილი,  
სიწრეელის გამომხატველი,  
თვალთა ულრუბლო ციმციმი,  
სახის ცქრიალი ნათელი,

შისი ტიტინი, ქლურტული,  
და უდარდელი ფრთხიალი,  
მსუბუქი ფრთებით მუდმივად  
ოცნების ზღვაზე სრიალი,

პატარა გულის ცახცახი,  
სიამით გამოწვეული,  
თანაც ცრემლები სპეტაკი,  
ობლობით გადმოფრქვეული,

მინდა რომ ერთად შევკონო,  
და ნაცვლად თაიგულისა,  
მას შენ მოგიძლვნი, მგოსანო,—  
სარკეა შენი გულისა.

ნეტავ, ვიცოდე, როგორ მღერ  
ასე უბრალოდ, ბავშვივით,  
ხან მერცხალსავით ჰიკქიკებ,  
ხანაც ლუნპულებ შაშვივით,

ხან ვით ყრმას, აკვანს მწოლარეს,  
ტუჩზე ვადაგვრავს ლიმილი,  
ხან მწარედ აქვიონდები,  
გრანჯავს ობლობის სახმილი;

ვანოს, დათიკოს, ქეთინოს,  
თამრიკოს, მარიკელასა,  
ერთად შემოკრებ, და ტკბილად  
ესაუბრები ყველასა:

ზოგს აქებ ურმა გარჯისთვის,  
უწონებ ბეჯითობასა,  
და სხვებს იძულებ ამითი  
უქმობა-ზარმაცობასა;

ლარიბ-ჩაგრულებს აბრალებ,  
და უმეგობრებ იბლებსა...  
ნეტავ შენსავით შეეძლოთ  
ყრმების წერთნა ჩვენსა მშობლებსა!

შეხედე, პაჭია ბავშვი  
ვერ ძლება შენის სმენითა,  
და შენთან ერთად დაფრინავ  
ბავშური იღმიაფრენითა.

ომ!... რო შემეძლოს შენსავით  
ბავშური ტიტინ-ლუნპული,

၁၈။ ရွှေမီန်ကိုပြောလေ့ ဖျော်ဆိုခဲ့  
နေရာ၏ ပျောစာတော် ဂွေးလှစ် ပျော်ပြောလေ့၊

მაშინ შევძლებდი მემლერა  
ბაეშურად, უდარდელად;  
და იმათ წვრთნაში ცოცხებას  
დავლევდი უტანჯველად.


၈. ပေးအားလုံးမျှ





## ტ ა ს ი პ რ

### I



ებილო, სახლში კველაფერ საქმეს მოვრჩი, და ახლა ბეკას წავიყვან ბალჩაზი. ნეტა ერთი დაგანახვა, როგორ იყურება. დამინახავს თუ არა კარებში, მაშინვე ფეხების ბაკუნს და ფრუტუნს მოჰყვება. ელის, როდის მოვიცლი და წავიყვან ბალახზე.

— წალი, შეილო! მაგრამ ვინძლო არ გვერთო და შენი ავადმყოფი ბებე არ დაგავიწყდეს. იქნება წყალი მომწყურდეს და, ხომ იცი, სურის მომწოდებელი არავინა მყავს შენს მეტი.

— არა, არა, ბებე! ჩემი დედის სულის განათლებაში და მამის მშვიდობით დაბრუნებაში, იმ წელთას აქ დავიბადები, ოლონდ ჩავიყვან ბეკას, დავაბამ და ბალოსს დაუყრი.



ტასიკო ამ სიტყვების შემდეგ საჩქაროდ გამოიყენდა მათ ლიდან, აუშვა თავისი ბეკა, თოკი ყელზე გადაახვია, და ორმა ერთგულმა მეგობარმა ხტუნეით გასწიეს ბალისაკენ.

— წამოდი, ჩემთ ლამაზო, — ელაპარაკებოდა ტასიკო თავის თხის, — გამოგაბამ ქლიავის ძირში, დაგიყრი ბლობიდ ლიჭის, და ახრამუნე, რამდენიც გენებოს. იმის-კი გთხოვ, ჩემთ წვერებ-ცანცარავ, ბევრი არ იხტუნო, თოკი არ გაწყვიტო და ბალიდან არსად არ გაიქცე. ხომ გახსოვს, იმ დღეს როგორ შემაშინე და რამდენი მატირე? დაიხსომე, გენაცვალე, ჩემი სიტყვები... რას მიყურები?.. აბა, შენც მითხარი რამე! შენ სულ ბ...ე...ე... ს...ს გაიძიხი... სხვა არაფერი იცი. აბა, ახლა-კი მშეიღობით, სიღამომდინ.

ასეთი მუსაიფით ჩიცყვანა ტასიკომ თავისი ბეკა ბალჩაში, ბალიხი დაუყარა და შინისაკენ გამოეშურა.

ტასიკო ცხრა-ათი წლის გოგონა იყო. სამი წლისას მოუკვდა დედა და ბავშვია დედის სიყვარული ბებეზე გაღი-ტანა, რომელიც დაპერურულებდა თავის პატარა შვილი-შვილს რძლის სიკედილის შემდეგ. მამაც ძალიან უყვარდა პატარა ტასიკოს, მაგრამ ამ რამდენიმე კვირის წინად ის მოაშორეს თავის გოგონას და ომში წიცყვანეს. ტასომ მამის მოშორებაზე ბევრი იტირა. მისმა მოხუცებულმა ბებემ-კი ვეღარ აიტანა შვილის მოშორება, ოჯახის უფასუალოდ დარჩენა, და ლოგინად ჩიცარდა.

აი, დღეს ტასიკო გამხდარიყო ოჯახის ბურჯი: ადგებოდა დილით, ქოთმებს გამოუშეებდა, საკენქს გადაუყრიდა, კარ-მიდამოს გადაპევიდა, დილის წყალის მოიტანდა, სახლს დაპევიდა და დაალაპებდა. ბეკას მოსწველავდა, როგორც შეეძლო, ცეცხლს დაინთებდა; რძეს აადულებდა, შემდეგ გრუზია თმის გაღივარუხნიდა, და როცა ოჯახის მორჩებოდა, კოხტად გამოწკეპილი ტოლებში გამოეიღოდა ცოტა ხნით,



ცალი ყური კი სახლისაკენა ჰქონდა, რომ ბებეს პირულის გადასახურებაზე იმასთან განენილიყო.

## II

ერთი წელიწადია პატარა ტასიკოს ცხოვრება ძირიანად შეიცვალა. მამა ომში მოუკლეს. საბრალო იმისმა ბებემ ველარ აიტანა შეილის მწუხარება და მალე ისიც გამოეთხოვა წუთისოფელს. ტასო დარჩა სულ-მთლად ობოლი, უპატრონიდ. თუმცა მახლობელი ბიძაშეილები ჰყავდა, მაგრამ ვერ-ვინ იტვირთა ბავშვი შესანახად; თვითონაც გაჭირებით შოუ-ლობლენენ დლიურ ლუკმას.

ტასო იქვე ახლო სოფელში მისცეს ხელზე მოსამსახურედ ერთ ხელმოქლე აზნაურის ოჯახში, ითი წლის ვადით. ათი წლის შემდეგ ჯამიგირის მიგიერ ითი თუმნის მზითვი უნდა გაეკეთებინათ გოგოსთვის და გაეთხოვებინათ.

ბავშვი აუტანელ გაჭირებას განიცდიდა მოახლეობაში. ბევრჯელ დაუღამებია მთელი დღეები მშიერი მუცლით. აგრ ერთი წელიწადია თავისი ტკბილი ბებეს ალერსი აღარ გაუგონია. აღარც თავისი საყვარელი ბევერ ჰყავს. ის ბებეს სიკვდილის შემდეგ გაუყიდეს. ახლო ტასოს იშეიათად ნახავდით გალიმებულს; ტოლებში ყოფნა აღარ ახარებდა და აღარც ეყალა სათამაშოდ. იმას ახლა თავის ნალველთან ერთად კიდევ სხვა მძიმე ტვირთიც აწვა კისერზე. ოჯახის საქმე მოახვიეს უსუსურ ბავშვს თავზე

ტასოს მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავდა: ეს იყო პატარა ანიკო; ანიკოს უზიარებდა ხოლმე თავის დარცს, ნალველს. ყოველ დღე მოიჩაბენდა ხოლმე ანიკო და, როგორც შეეძლო, უმსუბუქებდა მძიმე ტვირთის თავის მეგობარს. ანიკოს ბავშურმა სპეტაკმა გულმა ანგარიშ-მიუცემლად გაიზიარა ტასიკოს მწუხარება და აუტანელი მდგომარეობა გაუადვილა



შეგობარს. ტასიკოს ერთი დღე რომ არ ენახა თავისუფასოდაც  
სიცოცხლე გაუმწვარდებოდა ხოლმე.

ტასის მუშაობა არ ეზარებოდა. მამლის ყივილზე წამო-  
ფრინდებოდა, როგორც თავის სახლში, ისე აქაც, ჯერ სახ-  
ლის ეზოს დავეიდა და დაალაგებდა, შემდეგ დილის წყლით  
კოქებს დაავსებდა, მერე სახლში დატრიალდებოდა. როცა  
შენაურ საქმეს მორჩიებოდა და გრძელ ზაფხულის დღეში სა-  
ხლში საიმისო საქმე აღარ მოიპოვებოდა, ახლა ქალბატონი  
ბატებს გაარევინებდა მინდორში საძოვნელად. ტასიკო მხო-  
ლოდ აქ, მინდორში, იგრძნობდა ხოლმე მოსვენებს და სია-  
მოვნებით გარევადა ხოლმე ბატებს.

აი, დღესაც ასე მოხდა: სახლში საქმეს მორჩია და ქალ-  
ბატონშა ბატის ჭუპულები გაარევინა მინდორში. შშვენერი  
ზაფხულის დღე იყო. ყვავილების ათასნირი ღამითრობელი  
სუნი ტრიალებდა ჰაერში. გრილი ნიადი მოპქონდა და ზაფ-  
ხულის სიცხეს ძალას ართმევდა. ბატის ჭუპულები მინდორს  
მოედუნენ ყიყინით და ფრთხების ტკრციალით. მათი მწყემსი  
ერთ ბუჩქის ძირას გრილოში მიჯდა და გვერთ გრძელი თხი-  
ლის წნევლი მოიდო, თან ცას შეჭყურებდა, რომ მოულოდ-  
ნელი მტერი უეცრად არ გასჩენოდა მის სამწყებოს.

ტასიკო პირველ წუთებში ბუნების სიკეკლუცეს შეპხა-  
როდა, მაგრამ მალე მოიწყინა და ფიქრებს მიეცა. მოაგონდა  
თავისი წარსული, საყვარელი ბებე, დაკარგული მამა, თავი-  
სი ბეკა და ბავშვებს გული ამზუჯდა. ქვითინებს საწყალი გო-  
გონა, შესტირის მწვანით შემოსილ მინდვრებს, დაბურულ  
კალებს, მათ უზიარებს თავის მწუხარებას, მაგრამ გარინდე-  
ბული ბუნება მას ხმას არა სცემს, ნუგეშს ვერ აძლევს. ბავ-  
შვი დაოსდა ტირილით, დაიქანცა და ღონე მიხდილს იქვე  
ჯაგის ძირს მიეძინა.

მძინარე ბავშვის ნამტირალეფი სახე გაუბრწყინდა და ტუ-  
ჩებზე ლიმილი დაეკროო, ტასომ სიზმარში თავისი ბებე და



საყვარელი მამა ნახა. აი, ბებე ბეკასა სწველავს სახლის დე-  
რეფანში; მამიც იქვე ახლო ზის კუნძხე და თავის ტასიკოს  
შექმარის. ტასიკო მამის მოტანილ საკაბეს სინჯავს, წითელ  
ფლოსტებს ისინჯავს ფეხებზე.

— ტასიკო, შვილო, მოდი, ბებე გენაციალოს: ბეკა ბალ-  
ჩაში წაიყვანე.

ტასიკოს ბეკა მიშყავს ბალში; ახალი ფლოსტები აცვია,  
ფეხებზე უკერს და სიარულს უშლის, მაგრამ არა უშავს რა:  
ჩქარა მოადგება.

ტასიკო მხიარულად არის,—სრული ბეღნიერია. აი, დაა-  
ბა ბეკა დიდი ქლიავის ძირში. ახლა ძველებური ცელქობის  
ეინდი წამოუარა და ბეკას წოვნა მოუნდომა. მაგრამ ბეკამ  
იუკადრისა ტასიკოს ასეთი ხუმრობა: შეტოვდა, გადახტა  
იქით, თოვი გაწყვიტა და ტასიკოს სარჩოლად შემოუტრი-  
ალდა; ტასიკო შეშინდა, იდგილიდან განძრევა ველი მოა-  
ხერხა. აი, ბეკა მოუახლოვდა, გვერდებში დაეჯახა; ბავშვი  
გადაგორდა და საშინელი ტყივილი იგრძნო, დაიგმინა და თვა-  
ლები ღია დარჩა.

ტასიკო კანკალმა იიტანა, როცა დაინახა თავისი ქალ-  
ბატონი გრძელი სახრით ხელში.

— აი, შე მკვდარო, შე მაიმახო, შე სასიკედილევ—შე-  
ნა! ვითომც კუპულებს უყარაულებს, და ძილით კი იბერე-  
ბა! ბატების წიოკობა მე სახლში შემომესმა, და შენ კი აქ  
მკვდარივით გდიხარ. ამ სიტყვებით ერთი კიდევ გადააწნა  
სახრე. ტასიკო სიმწარისაგან დაიკლავნა, შემდევ წამოფრინ-  
და და ჭალებებსაკენ დაეშვა გულ-საკლავი კივილით.

გაბოროტებული ქალბატონი სახლში დაბრუნდა და მოე-  
ლი დღე სულ ტასიკოს წყველა-კრულვაში გაატარა.

## III

საღამოს დასავლეთის ცის კიდურზე თეთრი ლრუბლები მზის წითელ სხივებში გაეჭვივნენ. სოფელი კარში გამოიყინა: ყველგან მოძრაობა, სიცოცხლეა. ყველა მხრიდან ბავშვების მხიარული ყიჯინა და ერთიანული ისმის.

— ქალბატონო, ტასიკა წყაროზე არ წამოვა? — შემოსძახა ეზოდან პატარა ანიკომ ელისაბედს, რომელიც სახლის აიგანზე ტრიალებდა და ბობოქჩობდა.

— უი, წყარო იმასა და დიდი ლოდი! — გადასძახა ელისაბედმა და დიდიც ესიამოვნა, რომ საშუალება მიეცა ხმამაღლა გამოეტქვა ერთი კიდევ თავისი გულის წყრომა. ქა, დღეს ერთი ბატის ჭუჭული შემიჭმია ქორსა იმ სასიკედოლებმ!

— აი, დაგწყვევლოს ღმერთმა, კარგი ქალბატონი შენ არა ხარ! — ჩაილაპარაკა ბავშვები და გამობრუნდა ეზოს კარებილან.

— ნერთა სად უნდა იყოს ახლა ტასიკო? ვინ იცის — რა დღე დააღწია ამ შეწვენებულმა! — ლაპარაკობდა თავისთვის პატარა ანიკო, თავისი მეგობრის მდგომარეობით შეწუხებული. ვინ იცის — შეშინებული სად მიიმალა და შეიძლება ამაღლომ კარში დარჩეს!

ანიკო ელისაბედის ეზოს კარებს რომ მოსცილდა, განერდა, თავისი პატარა თითო ტუჩებზე მიიღო და დედა-მიწას ჩააპერდა: თითქო რაღაც დაუვარდა მიწაზე და იმას ეძებს თვალებითაო. ოდნავი ჩაფიქრების შემდეგ ბავშვება ხელი ჩაიქნია, მხარზე ხელადა გაისწორა და წყაროსაკენ გაკურცხლა.

მირბოდა ანიკო და მილაპარაკობდა: უნდა უთუოდ მოვდებნო ტასიკო, თორემ ამაღამ ქალაში შიშისავან ვინ იცის რა დაემართოსო: თავის გონებაში ათასნაირ აზრებს ატრიალებდა, ტასიკოს სანუგეშებლად.



ეროვნული  
ბიბლიოთეკი  
სამართლებრივი დოკუმენტი

ანიკოს ამასობაში წყაროზე ჩიხელა დაუგვიანესდება მათ შემდეგ ანიკოს ამასობაში ჩიხელა დაუგვიანესდება, აავსო ხელადა, დადგა წყაროს პირის და ერთი გულით გაითიქრა კალაში შესულიყო ტასიკოს საძებნელად, მაგრამ ბუნების მყუდროებამ უნდებური შინაში აგრძნობინა ბავშვს და განზრახვებზე ხელი ააღებინა. უჩუმბრად წამოიგდო ხელადა მხარზე, დამფრთხალი კურდლელიყოთ იქეთ-იქით იცქირებოდა, მანამ კალას გამოსცდებოდა. მხოლოდ ფერდობზე დაიმშეიდა გული ტასიკოს პატარა მოჭირისუფლებ.

## IV

შეუ ზამთარია. ჰყინავს. მწარე ქარი სისინებს. სალდათის ბაზარში კი გიცხარებული ვაჭრობაა. მუხრანიანთ ეზო ხალხით არის გიცელილი. ერთ ალავს, ეზოდან ამოსავილ კიბის თავზე ორიდ მოკაკული, მოხუცებული, კონკებში გახვეული მათხვერია დედა-კაცი ზის და სიცივისაგან ძაგძაგებს. მხრებზე საბნის ნაგლეჯი ახვევია, მაგრამ იმის ვაყინულ ძვლებს ეს სამოსელი ვეღარ ათბობს. დედა-კაცი გამვლელ-გამომელელის მიახლოებაზე დალაპარაკებასა ცდილობს. სიცივისაგან გალურჯებული ტუჩები აღარ ემოქმილებიან სიტყვის მეაფიოდ გამოსათქმელად.

ბაზარში მოსიარულე ხალხი კარგად იცნობს ამ დედა-კაცს. სხვა დროს თითო-ორიოლი გულშემატკივარი დიასახლი-სი მიაწვდის ხოლმე ხან პურს, ხან ბლითებს, ხან გროშებს. დღეს კი მოხუცისათვის თითქა არავისა სკალიან. იმის გვერდით ერთი დაგლეჯილი პარკი გდია კარიელი. რაც ბაზარი გაიმართა, დედა-კაცით ავის იდგილზე ზის, მაგრამ ერთი გროშიც არავის მიუწოდებია.

საქმე ცუდად დაუტრიალდა დღეს მოხუცს. ყინვამ მოლად გააშეშა: ხელებს ვეღარა ხმარობს, სიტყვას ვეღარ იგნებს და უაშროდ რაღასაც ლულლუდებს.

ქვე-უენილზე გამოჩნდა ორი აბგა-აკიდებულის-შეტაყებულის ქალი.

— မ....။ ဒု..။ လျှော်။ လ..။ ဒ.။ ဝ.။ — နိုဝင်္ဂလျှေးလျှေး၊ ဒီ  
ဇန်နဝါရီ၊ အောက်ပါမှ ဖွေလားကျပ်မာ၊ စိတ်ပွဲ၊ လာမိုးအောက်  
မြတ်ဆောင်၊ ပါ မြတ်ဆောင် စာနံပါရီ၊ ဆမိန့်၊ အမြတ်ဆောင်၊ အောက်

მოხუცის გმინვა მწირედ მოხვდა ახლო მიმდევალ პატარია მოწითის გულს, სწრატად ზიირბინა და ჩაეკითხა მოხუცს.

— ბებე, რა დაგმართვია: ხელები სულ გაეყინვია! —  
სოჭვა ბავშვება ხელის შეხებაზე და უფრო ახლო ჩაცეტრდა  
დედაკაცს სახეში. გამოუდილმა ბავშვება იგრძნო, რაც ემარ-  
თებოდა მოხუცებულს. შეშინებულმა დიწივლა.

ბაეშვის წივილზე ხალხი მოგროვდა და მომაკვდაცი საა-  
გადმყოფოში გაგზავნეს ეტლით.

ორი პატიორა მოწაფე დასტილოდა თავს უპატრონო მოხუცს.

ეს ორი პატარა მოწიფე იუვენენ—ჩევენი ტასო და ანიკო. ტასოს მკლავზე დალია სული იმისმა საყვარელმა ბებემ დღესაც განვებამ წილად არვუნა ჭირისუფლობა გაეწიათ საბრა-ლო მომაკედავი მოხუცისათვის.

V

ანიკო რომ შინ დაბრუნდა წყაროდან, დედას უამბო  
ტასიკოს თაყვადასავალი. ანიკოს დედა სოფიო მხნე და მოპირ-  
ნახულე დედა კაცი იყო. სოფიოსაც ომიანობამ გაუწყვიტა ვა-  
კები მაგრამ ამას სოფიოსათვის სიცოცხლის ძალა არ წაურთ-  
მევია. იმინ მთელი თავისი სიყვარული თავის პატარა ანი-  
კოზე დამყარა. ოჯახში ღონისეული იყვნენ იმისი ქარ-  
შინილი. სოფელში მხნეობას და წარმოებას სოფიოც არ შეუ-  
შინდებოდა, მაგრამ ანიკოს შზრუნველობამ გადაავიწყა ქო-  
ნებაც და ქონებასთან დაკავშირებული უზრუნველყო-  
ფაც. მან გადასწყვიტა თავისი ანიკოსათვის უქცეველად სწავ-

ლა მიეღებინებია. ამ აზრით ის გადმოსახლდა თვეიშირს შესრულებული სოფლისად მხოლოდ ზაფხულობითა სცხოვრობდა ხლოშე.


ანიკოს ნაამბობმა სოფიოს გულში ობოლი ბავშვისადმი შშობლიური მზრუნველობა იღძრა. ორთავე დედა-შვილი წავიდნენ და მოძებნეს ტასიკო, რომელიც სალამო ხანს ქალიდან გამოსულიყო და ქალის პირში მობუზული იჯდა.

წამოიყვანა სოფიომ ტასიკო თავის სახლში და იმ დღიდან თავის ანიკოსთან ერთად ზრდიდა. ქალბატონში ბევრი ალიაქოთი დააღწია: გოგოს ნუ წამართმევო, მაგრამ ველარა გააწყო-რა. მტკიცე ხასიათის სოფიოს თავის გადაწყვეტილებაზე ხელი ველარავინ ააღებინა. ზაფხულში სოფელში იყო ორთავი ბავშვით; შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა და კეთილი ადამიანების საშუალებით ტასიკოც და ანიკოც სასწავლებელში მიიბარა.

ადრე ჭირ-გამოვლილი ბავშვი მშურეალედ დაეწაფა სწავლას და პირველ შეგირდათა სწავლობდა.

სოფიოსაც უხაროდა, რომ ამაგი უფასდებოდა.

### ელენე კლიმიაშვილი





## ମଧ୍ୟରେ ଓହତାଙ୍କି



ଅଲୋଦ ଗାଢାଫୁରିକ୍ଷନିଲ ପ୍ରାୟିଲେଖିଲ ମେଳା-  
ରୂପିଲାଦ ଦାସତ୍ରିଳାଲେଖିଲନ୍ତି କେବେଲେଖିଲ, ଦୁଃ-  
ଖିଲ ଦା ଅତାଶି ସବ୍ରା ମିଶରିଲେଖିଲ; ଗାଢାଘ୍ରିଲେଖିଲ  
ଯୁରିକ୍ଷନ୍ତି ଦେଖିଲିଲିଲ ମିନଦ୍ରିଳିଲ କିମ୍ବା  
ଲୁପତ ତାଙ୍କ ପ୍ରାୟିଲେଖିଲନ୍ତି; ଦୁଃଖିଲାଲେଖିଲ  
ଏ ମଦିମେଦ ଗାଢାଲିଲନ୍ତି ଗ୍ରହି ପ୍ରାୟିଲିଲିଲାନ ମେଳିଲେଖିଲ.

ମିଶରିତା ପ୍ରାୟିଲିଲ ଦା ମରାଗାଲା-ଫ୍ରାନ୍ତିରାନି ବୀଥ୍ୟତ ବୀପୁ-  
ତିଲ୍ଲେ ଏହିଅଧ୍ୟେଲାଦା, କିମ୍ବାରିଲାଦା, କିମ୍ବାରିଲାଦା  
ଚାତକିଲାଦା ନାତେଲାଦା ଫଳିଲ. ପ୍ରାୟିଲେଖିଲ ମେଳିଲ୍ଲେଲନ୍ତି.  
ଅଲୋଦ  
ଗାଢାନାଶକ୍ରୁଳ କୃଷ୍ଣିଲେଖିଲ ନନ୍ଦାଜ ଗାଢାଶବଦାତ ମିଶାନ୍ତ ତିକିଦାଲ୍ଲ ଦା  
ତାଙ୍କିଲ୍ଲେ ନିଶିଦାଵିଲନ୍ତ ମିଶରିଲେଖିଲ. ପ୍ରାୟିଲା ଏ କ୍ରୂଲୁପିନ ବୀପୁତାର-  
ମିଶାନାଶକ୍ରୁଳିଲ ଏହିଅଧ୍ୟେଲାଦା ମିଶରିଲେଖିଲ ଦା ଉମାଶକିନିଲାଦାଲ୍ଲେଲାଦାଲନ୍ତ  
ତାଙ୍କିଲାନିଲ ର୍ଯ୍ୟାଲିଲ ନ୍ଯୂକ୍ରାନିଲ. ନ୍ଯୂଗି ମିଶରି ବୀଶତ ଲୁମାନ୍ତି ଦା  
କାନ୍ଦିରା ପ୍ରାୟ, କାନ୍ଦିମ ମିଶିପ୍ରେତିଲାଦା ଦା ତାଙ୍କିଲି ମନନାଶାରିଲ୍ଲ ପ୍ରାୟ-  
ବିଲା ଗ୍ରେଗନ୍ନେଲାଦାତ. ମେଳାରୂପିଲାନ୍ତ ଦା ଉଠିରୂପିଲାନ୍ତ ବୀଶେଲିଲିଲ  
ବୀପୁତାରିଲାନ୍ତ ମିଶିପ୍ରେତିଲାନ୍ତ ମିଶିପ୍ରେତିଲାନ୍ତ ମିଶିପ୍ରେତିଲାନ୍ତ  
ଶ୍ରୀମନ୍ତ ଦା ଶ୍ରୀମନ୍ତ ଶ୍ରୀମନ୍ତ ମିଶି ଶ୍ରୀମନ୍ତ ଅତାଶରାଦ ମିଶି-  
ଲାଶାରି ମିଶିଲେଖିଲ.

— କାଳ ଦାତିକିରିଲେଖିଲାକାର? — କ୍ଷେତରା ପ୍ରାୟିଲିଲାକ କ୍ଷେତିଲିମା  
ଫ୍ରାନ୍ତିକାମ.

— ბუნებამ დამჯაბნა, — სჩიოდა კალია. — აბა, შეხედე, როგორი ფრთები აქვთ სხვა მწერებს. აბა, შეხედე ბრტყელია მწერებს; ბუზანკალებსაც კი, უბრალო ბუზანკალებს ლამაზი, წითელ-ყიითელი ფრთები აქვთ. ახლა ჩემს უბრალო ფრთებს შეხედე...

— ბუნებამ როდი დაგჯაბნა, — მიუგო კეთილმა ფერიამ. — თუ შენ არც ისეთი ლამაზი ხარ, როგორც ზოგიერთი მწერია, სამაგიეროდ დიდი ძალაა შენს გამჭვირვალე და მსუბუქ ფრთებში! ვერც ერთი ბუზანკალი, ვერც ერთი მწერი ვერ შესძლებს შენსავით ფრენას. თქვენ, კალიებს, საშინელ სიმაღლეზე შევიდლიათ აფრენა და დიდი მანძილის გავლა მთელი გუნდებით.

შურიანი კალია ყურს არ უგდებდა ფერიას და დაფინებით დაუწყო თხოვნა:

— ძლიერო დედოფალო, სასტიკი და შეუბრალებელი ბუნების შეცდომა გამოასწორე: სხვა ფრთები გამომასხი.

— როგორი ფრთები გინდა? — ჰეითხა ფერიამ.

ისეთი ფრთები მომეცი, კეთილო დედოფალო, რომ იმის შეგვესი არც ერთ მწერს არა ჰქონდეს. ჩემი ფრთები იმ ძვირფასი მასალისა უნდა იყოს, რომელსაც მიწიერი მეფენი, აღამიანები — ისე აფასებენ, იმ ლითონისა და თელებისა, რომლის გულისათვისაც ისინი ერთმანეთს მტრობენ და ბნელ გვირაბებში ჩადიან. მომეცი ბაჯალლო ოქროს ფრთები, უძვირფასეს თვალ-მარგალიტით მოქედილი.

— რა უგუნური სურვილია! — წიმოიძახა ფერიამ. — მაგრამ და შენი სურვილი ასრულდეს.

ფერიამ გაიქნია გრძნეული ჯოხი და გაფრინდა.

კალიამ რაღაც უსიამოენება იგრძნო; შაგრამ მალე ეს გრძნობა აღტაცებად შეეცვალა, როდესაც დაინახა ძველი, უბრალო ფრთების მაგიერ ბრტყელია ოქროს ფრთები, მოპედილი თვალ-მარგალიტით.

როდესაც ეს ხაბრალო მწერი დასტება თავისი სიციადით, მოინდომა თავის გამოჩენა და გაფრენა, რომ ოქროს ფრთებით ამხანაგებში შური აღეძრა.



მაგრამ ვერ დასძრა თავისი ძვირფასი ფრთხოების შემთხვევაში მძიმე ლოდებიერით აქტი-იქით შემოსწოლოდნენ და თითქოს ცდილობდნენ თავიათო პატრონი მაღლა კი არ აფრინათ, ლავაზარდოვან ცაში. პირიქით — ცდილობდნენ შევ, ბნელ შიწაზე მიეწებათ.

კალის ჩამოვარდნისა შეეშინდა და საჩქაროდ ჩამო-ცოცდა ვარდის ყლორტიდან. რამდენად მაღლა, ყვავილებზე, კარგი სამყოფი იყო, იმდენად დაბლა, ფესვებს შუა, სიბნელე, ჭუკური და ნესტი სულს უხუთავდა კალის.

ლამაზ, ცქრიალა პეპელებისა, კალიებისა და ბუზების მაგიერ აქ ფუსტუსებდნენ მატლები, კიები, ობობები; დახ-ტოდნენ ბაყაყები, დასცურავდნენ გველები. თავზარდაცმული კალი აკირდებოდა სრულიად უწნობ ქვეწარმავალთა სამეფოს და საშინელ ზიზლსა ჰერძნობდა.

კალია ძლიერ მიღიოდა, მიათრევდა თავის მძიმე, ძვირ-ფას ფრთებს და მხოლოდ იმას ჰქიქრობდა, რომ თავი დაეხ-წიო ამ ჯოჯონხეთისათვის. წამ-და-უწუმ გველები და ბაყა-ყები ეხეხებოდნენ წინ: ყოველ წამს კალი სიკვდილს ელო-და, თრთოდა, მაგრამ ქვემდრომნი, შეეხებოდნენ თუ არა მის პრიალა, ციც და მაგარ ფრთებს, მაშინათვე გზას უმობდნენ გამოუთქმელი ზიზლით.

დაქანცული კალია ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე დასა-სეენებლად და სიძულვილით უყურებდა თავის საუცხოო ფრთებსა, რომელნიც ბორკილებად გადაექცა.

„ნეტავ გამაგრებინა, რად უყვარს ადამიანს ეს ციცი და მძიმე ოქრო? ეს მაგარი, ბრკეციალა და უსიცოცხლო თვლე-ბი?“ — ფიქრობდა კალი. ამ ოქროს ნუ თუ არასოდეს არ დაუბერავებია ადამიანი, არ ჩამოუქვეითებია, არ ჩაუკლავს რაიმე სინათლე. ნუ თუ არასოდეს არა ნანობენ, რომ ოქროს გულისათვის ერთმანეთს სხავრავენ; რომ იმის შეძენისთვის სიცოცხლესა სწირავენ? ნუ თუ არცერთ მათვანი ჯერ არ მოსულა გონს, არა ნანობენ ყოველივეს, როგორც — მე.

დასწეულებული, ცოცხალ-შეკვედარი კალია როგორმაც კუთხით  
გამოცილდა დამპალ მცენარეთა სამეფოდან. გაშლილ აღვი-  
ლას თავი უკეთ იგრძნო. ჰაერი სუსთა იყო. იგი ხედავდა  
მზეს, ლავაზარდოვან ცას და მხიარულად მოცქრიალე მწე-  
რებსა. ოჯ, როგორა შერდა კალიას მათი ყოფა!

იქ დიდხანს არ დასცალდა მოსვენება. ფრინველები,  
რომელთაც სხვა მწერები თავიანთი მსუბუქი ფრთების წყა-  
ლობით აღვილად ემალებოდნენ, ამას სულ აღვილად დაე-  
პატრონებოდნენ. კალიამ ისევ მცენარებს მიაშურა. შიმშილი  
უფრო და უფრო აწუხებდა; ტანი საშინელ და მძიმე ფრთე-  
ბისაგან სტკოლა, ეწოდა. კალია კვდებოდა.

უვავილთა კეთილმა ფერიამ დაინახა მომაკვდაცი კალია  
და ჰერხა:

— რა დაგმართვია? რამ დაგაოლონა?

— ოჯ, ძლიერო დედოფალო, — ტირილით მიუგო კა-  
ლიამ: — შეპატივ, შემინდე ჩემი უგუნურება, უკმაყოფილება  
ჩემის ბელისა. გემუდარები, კეთილო ფერიავ, წამართვი ეს და-  
წყველილი მშეენიერი ფრთები, და მათ მაგიერ გინდ ულამა-  
ზო და უშნო მომეცი, ოლონდ კი ისევ შევძლო ფრენა.


— კეთილი, — მიუგო ფერიამ, — გადავგარჩენ. შენი სია-  
მიყე საკმარისადაა დასჯილი.


შან გაიქნია თავისი გრძნეული ჯოხი და გაფრინდა.

კალიამ შვება იგრძნო და მთლად ათროთოლდა სიხარუ-  
ლისაგან, როდესაც უწინდებურად მსუბუქი, გამჭვირვალე  
ფრთები დაინახა.

ერთი კი შეარხია ფრთები, აფრინდა მალლა-შალლა და  
ქება-დიდება შეასხა ბუნებას, რომელმაც ასეთი მსუბუქი ფრთე-  
ბი მისცა.

თამარ კარბელა შეიილო.





## ლრობლები და ტალღები



ედილო, იმ ხალხმა, იქ მალლა ლრუბლებში  
რომ ცხოვრობს, დამიძახა:

— ჩვენ აქ სულ ვთამაშობთ. გავილვიძებთ  
თუ არა, დილიდან სალიშომდის, მზის ჩასვ-  
ლამდის, ვთამაშობთ. ვეთამაშებით ოქროს  
განთიადს, ვეთამაშებით ვერცხლის მთვარეს.

მე ვკითხებ:

— რა გზით შემიძლია იმოვიდე თქვენთან?

მიპასუხეს:

— მიდი დედამიწის კიდეზე, ასწიე ხელები მალლა ცი-  
საკენ და ლრუბლები იმოვიყვანენ ჩვენთან.

— დედილო მელოდება სახლში,—უპასუხე მე,—როგორ  
მივატოვო და წიმოვეიდე თქვენთან? იმათ გაიღიმეს და გაფ-  
რინდნენ შორს. მაგრამ მე ამაზე უკეთესი თამაშობა ვიცი,  
დედილო. მე ვიქნები პაწია ლრუბელი, შენ კი—მთვარე,  
მე დაგაფარებ ორსავე ხელს, ჩვენი სახლის ჭერი-კი ლურ-  
ჯი ცა იქნება.

იმ ხალხმა, ტალღებში რომ დასცურავს, დამიძახა:

— ჩვენ დილიდან დალამებამდის ვმღერით, მიესცურავთ,  
მიეისწრაფეით შორს, შორს, სად და როგორ-თვითონაც არ  
ვიცით.

მე ვკითხებ:

— რა გზით შეიძლება, რომ მეც შემოვიტოდე?

— მიდი წყლის ნაპირას, თვალები მაგრაც დახუჭე და ტალლები წიმოვილებენ ჩვენთან.

მე უთხარი:

— დედილოს სურს რომ მე საღამოობით ყოველთვის შინ ვიყო, და როგორ დავტოვო?

იმათაც გაიღიმეს და ხტუნვა-ცეკვით გასწიეს ქვევით.

— მაგრამ მე ბევრად იმაზე უკეთესი თამაშობაც ვიცი, დედილო. მე ვიქნები ტალლები, და შენ—უცხო, უცნობი ნაპირები, მე გავქანდები, ვიგორებ, ვიგორებ შორს, შორს, სანამ არ დაეიფრქვევი სიცილიად შენ კალთაში.

და არავის მთელ ქვეყანაზე ირ ეცოდინება, სად ვართ იმ დროს მედა შენ.



## ჩამავაკის ყვავილი



ომ წარმოვიდგინოთ, ხუმრობით-რა-  
საკეირველია, ვითომပ მე გადავიქტ-  
ეცი ჩამავაკის ყვავილიად, გავიფურჩქე-  
ნალლა, აი, იმ დღიდ ხის ტოტზე,  
ვქანობ ნიავისა და სიცილისაგან და  
ვცეკვავ ნორჩ ახალ-გაშლილ ფოთლებზე—ნეტავი თუ მიუ-  
ნობ შენ, ჩემო დედილო?

შენ იტყოდ:

— ჩემო პატარა შეილიკო, სადა ხარ?

— მე ჩუმად ვიცინებდი გულში და ხმას არ ამოვილებდი.  
ჩუმად, ჩუმად გაგშლიდი ჩემ პატია ფოთლებს და დაგიწყებ-  
დი ცქერის, როგორ მუშაობ.

როდესაც ბანაობის შემდეგ ჯერ კიდევ სველ თმა-გაშ-  
ლილი გაივლიდი ჩამპაკების ჩრდილ ქვეშ პატია ეზოში, სა-  
დაც სალოცავად დადიხარ, იგრძნობდი ყვავილის სუნს, მაგ-  
რამ კი არ გეცოდინებოდა, რომ ეს მე ვარ.

შუადლის შემდეგ-კი, როცა ფანჯარასთან დაჯდებოდი  
რამთანის საკითხავად, და ხის ჩრდილი მოგეფუინებოდა თმებსა



და მუხლებზე, მეც ჩემ პატია ჩრდილს ჩამოვტყორტსდას წეუნია  
წიგნზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც კითხულობა პირზემოა  
მივხდებოდი თუ არა მაშინ, დედილო, რომეს ჩრდილი—  
შენი შეიღიერ პატია ჩრდილია?

სალამოს, როდესაც შენ ლამპარით ხელში წახვიდოდი  
ბოსელში ძროხებთან, მოაღწევდი თუ არა ხესთან, მე უცემ  
ჩამოვარდებოდი ძირს, მიწაზე, ისევ შენ ბიჭიკოდ გადავი-  
ქცეოდი და გთხოვდი—ზღაპარი მიამბე მეთქი.

— სად იყავი შენ, საძაგელო ბიჭო?

— არ გიტცვი, სად ვიყავი, დედილო.

— აი რას იტყოდი შენ, და რას ვიტყოდი მაშინ მე.

ნინო ნაკაშიძე.





## პრძლია ადამიანისა პუნქასთან\*)

როგორ ადიან ადამიანები მთებზე.

(წერილი შეთერთშეტე).



ინა წერილში ესთქვით, რომ მთები დიდ დაბრკოლებას წარმოადგენენ აღამრანების და საზოგადოდ ხალხთა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლაში. ამ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად აღამიანშა გამოიგონა ახალი საშუალება: მთელი ათი და ოცი ვერსით მთების გახვრეტა, გვიჩაბების გათხრა-გაყვანა, გვირაბების გაყვანაში აღამიანს ამოქმედებდა მარტო ის აზრი, რომ მათი შემწეობით რაც შეიძლება შეტად შეემცირებინა მგზავრობის დრო და მანძილი და მით შეტი სარგებლობაც ენახა.

სულ სხვა საქმეა მთების თვალ-უწედენელ მწვერვალებზე ასელი; ამ ასელისაგან აღამიანი არ მოელის არავითარ სარგელობას, რადგანაც მთების მწვერვალებზე არ მოიპოვება არავითარი ძვირფასი მცნარე, ან ოქრო-ვერცხლი. აღამიანს აქ სულ სხვა აზრი ამოქმედებს: ეს არის ცოდნა და სურვილი ნახოს და შეიტოს — რა არის იქ, იმ სქილ-ღრუბლებს იქით, ცის სამეფოში..

მართლაც, ვის არ აუთრთოლდება გული, როცა მაღალ მთაზე იყა და არწივისებურად თვალს მოაელებს იქიდან მის ფეხთ ქვეშ, როგორც ხელის გულზე, გადაშლილ, მთელი საშისი და ოთხისი ვერსის მანძილზე, მთებს, მლინარეებს, ჩან-

\*) შეცდომის გას წორება, ი. ა. „ნაკადული“, № 4, ქვევ. მე-5 სტრიქონი: სწერია „12 ვერსი“, უნდა იყოს: 1<sup>1/2</sup> ვერსი.



ჩქერებს, წყაროებს, ტბებს, ლელეցებს, მინდორ-ცეცუმისა და გარებულებების გადაწყვეტილებებს... მართლაც ლირს იმად, რომ აღამიანს ეზრუნა მთის მაღალ მწვერვალებზე ასვლის გაადვილებისათვის!

და აյგ ინტერნა კიდეც- პირველად, სანამ აღამიანი გამოიგონებდა რასმე მთების მწვერვალებზე ადვილიად ასვლისათვის, ბევრი კარგი თავისი შეილის სიცოცხლე შესწირა თავისი ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფ-ლებას, ბევრი კარგი მეცნიერის ძელებით გააპონება ულრანი მთების თვალ-ჩაუწევდენი უფსკრულები და ლელეცები, რომ ენახა და შეესწავლა მთების საუკუნო ყინულები და კლდეები, და ბოლოს მიაღწია აქაც თავის მიხანს. გამოიგონა ისეთი რეინის გზები, რომლებითაც დღეს აღამიანს აღარ უკირს უმაღლეს მთებზე ასვლა და იქიდან მთელი არე-მარგს ადვილად მოთვალიერება-მიმოხილვა; სულ ადვალად და უშიშრიად ადის ისეთ პიტალო და აყუდებულ მთებზედაც-კი, სადაც წინად ერთი ვაივაგლახით და ხშირად თვით სიცოცხლის შეწირვითა, საღმე ულრან ხევებში გადაწევით, რამდენსამე დღეს უნდებოდა ასვლას...

თქვენ, ეკვი არ არის, წაკითხული გექნებათ რამდენიმე ამბავი გამშედავ მოგზაურების შესახებ, რომლებმაც თავი გიო-თქვეს მთების უმაღლეს მწვერვალებზე ასვლით, მაგრამ მე მაინც მოგითხრობთ აქ ერთ ისეთ ამბავს ჩქენ ბუმბერაზ მყინვარზე (ყაზბეგის მთაზე) ასვლისას, რომ უფრო კარგიდ გაიგოთ, თუ როგორი ტანჯვით და წევალებით აღიოდნენ აღამიანები მთის მწვერვალებზე წინად და როგორ ადვილად იდიან ახლა.

გაეიხსენოთ ჯერ რამდენიმე სიტყვით მყინვარის აღწერა ჩქენი მგოსნის, ილია ჭავჭავაძის, შუვენიერი პოემიდან — „გან-დეგილიდან“.

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწივნი ვერ შეჰებიან,



სად წვიმა — თოვლინი, ყინულად ქმნილნიშავიაზე  
მზისგან აროდეს არა ჰდნებიან,  
სად უდაბურსა მის მყუდროებას  
კაც ურიამული ვერ შეჭირვდენია,  
სად მეუფება კექა-ქუხილსა,  
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშოენია,—  
უწინდელ დროში ლეთისა მოსავთა  
გამოუქვებავთ მუნ მონასტერი”...

ასე ასურათებს მეოსანი მყინვარს. ლიალ, საუკუნო სი-  
ცივისა და ყინულის, შევი სიკედილისა და დაღუპვის სა-  
ვანება თხემნი მყინვარისა, მაგრამ ცნობისა და უოდნის მო-  
ყვარეობით აღსავსე აღამიანში როდი იყის დაბრკოლება და  
საზღვარი! ეს არის მიზეზი, რომ მრისხანე მყინვარიც ვერ წინა-  
აღუდგა აღამიანის გაბედულობას: მან ფეხი შედგა მის თხემ-  
ზედაც და მედიდურად ამართა ალაში გამარჯვებისა...

აი, ასეთი გამარჯვების ამბავი გვსურს მოგითხრათ დღეს  
„ნაკადულის“ მკითხველებს. მაგრამ, ვიდრე მყინვარშე ასუ-  
ლის ამბივს მოგითხრობდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე  
სიტყვით მაინც გაგაცნოთ ვითარება და აღგილ-მდებარეობა  
ამ მთისა.

თავდაპირველად მყინვარი სანძარი (ვულკანი) ყოფი-  
ლა, ესე იგი ცეცხლის მფრქვეველი მთა; მაშინ იგი გრგვი-  
ნავდა, ირყეოდა და სიკვდილსა და ზარს ჰყენდა გარშემო.  
მყინვარი მაშინ დღევანდელი თვალ-აუწვდენი მთა როდი იყო:  
თავდაპირველად იგი ჩეულებრივი სიმაღლისა იყო, მაგრამ  
ცეცხლმა და გამხვალმა დედამიწაში ის თანდათან ისე მაღლა  
ასწიეს, რომ სხვა მთები მასთან შედარებით უმცროს ძმებად  
დარჩნენ. მაგრამ იმ ქვეყნად ხომ ყველაფერს დასასრული  
აქვს, და ჩვენ მყინვარ სანძარსაც დასასრული დაუდგა: დროს  
მიმავლობაში ცეცხლი განელდა და მყინვარი გაყინულ მთად  
შერჩა ცის მიუწდომელ სივრცეს!..



მუნიციპალი (ყაზბეგის მთა).



მყინვარის სანძარის გული უწინდელ დროში.

მყინვარი ანუ ყაზბეგი მართულია კავკასიის ქედის თი-თქმის შუა წელზე, დუშეთისა და კავკავის მაზრების საზღვარზე, სადაც მის იხლო (11 ვერსზე) გაივლის საქართველოს სამხე-დრო გზა და გამართულია საღვური ყაზბეგი, და სიცდანაც მშვენიერიდ მოსჩანს იგი, თუ, რასაკვირველია, კარგი დარია.

სიმაღლე მყინვარისა უდრის 16,546 ჭყრთას ( $\frac{4}{3}/4$  ვერსს). თუმცა მყინვარი სიმაღლით ხუთ მთაზე ნაკლებია კავკასიონის მთებში (იალბუზი, დიხ-ტაუ, კაშტან-ტაუ, შხარი და ჯან-ლის—მთა), იალბუზის შემდეგ იგი მაინც ყველაზე ცნობილი მთაა კავკასიაში. ქართველები მას მყინვარს (ყინულოვანს) უწოდებენ, ოსები—ურუს ხოს (თეთრ მთას), ხოლო „ყაზ-ბეგი“ დაარქვეს მას რუსებმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სოფელ სტეფან-წმინდაში მცხოვრებ საქართველოს მეფე-ბისაგან აქ დანიშნულ მოურავების, ყაზბეგების, გვარის გამო.

ცის სივრცეში ყაზბეგის მთა იყოფა ორ წევრადად: მარტოს მუხა  
ლეთ და დასავლეთ წევრებად, ანუ თავებად. აღმოსავლეთის  
თავი თითქმის ისი საერთო უფრო მაღალია და უფრო კი-  
ცაბოც დასავლეთისაზე.

10,807 წყრთის სიმაღლიდან ყაზბეგი დაფარულია საუ-  
კუნო თოვლით, რომელიც ჰქვებავს მის ჩვე მყინვარს. ამ  
მყინვარებს შორის აღსანიშნია უფრო: ანაბორის მყინვარი,  
სიგრძით  $5\frac{1}{2}$  ვერსი, ორ-წევრა —  $7\frac{1}{2}$  ვერსი (აღმოსავლეთის  
ფერდობზე) და დევდორაჟის მყინვარი — 6 ვერსი (ჩრდილო  
ფერდობზე), საიდანაც ბევრჯელ ჩამოწოლილა საშინელი  
ზეავი თოვლისა საქართველოს სამხედრო გზაზე...

როგორც ჩვენი მგოსნის სიტუაციიდანაც სჩანს, ყაზბეგ-  
ზედ ოდესმე მონასტერიც ყოფილა; მაშინადამ აქ ბერებს  
უცხოერიათ, მაგრამ მთის თავზე ისელა კი ცრუმორწმუნე  
ხალხს დღესაც შეუძლებელ საქმედ მიაჩნია, თუმცა უკვე ბევ-  
რი მოგზაური ისულია ამ მთაზე.

ყაზბეგზე ისელა პირველიც სცადეს მეცნიერებმა აბრო-  
ტმა და ენგელგარტმა 1811 წელს, ზაგრამ აედრის გამო შარ-  
ტო 13.863 წყრთამდის მიაღწიეს; 1829 წელს — მეცნიერი ივი-  
ლა 14,840 წყრთამდის. 1868 წელს, 13 ივლისს, პირველიც  
მიაღწიეს მის წვერს ლონდონის ილბების კლუბის წევრებმა:  
ფრეშფილდმა, მაიერმა და ტეკერმა. ხოლო 1879 წელს, 29  
ივლისს, ივილა მეცნიერი ი. პასტუხოვი და ამართა მის თავზე  
საბოლოო გამარჯვების ილაში... აი, როგორ იგივებრს იგი  
ამ მოგზაურობის ყაზბეგის მთაზე:

„მე განვიზრახე ყაზბეგზედ ისელა, — სწერს პასტუხოვი, —  
მის უღიდეს მყინვარიდან, რომელიც ჩამოწოლილია მთის  
დასავლეთის ფერდობზე. თან მყავდა ორი ყაზახი, ლაპკინი  
და პოტაპოვი, და ერთი ოსი, ცარიხოვი.

27 ივლისს, ნაშუადლევის სამ საათზე, შევიბით ფეხებზე  
ოთხ-კაპიანი ჩრიაბები, ავილეთ ფოლად-წვერიანი ჯოხები და  
გაუდექით გზას. დარი მშვენიერი იდგა; ცა მოწმენდილი იყო.



ყინული ძალზე დნებოდა. გზა-გზა მრავლად გეხდეს შუღალტრია ნაპრალები; ზოგ მათგანზე კტერებოდით, განივრებს კი ვერი-დებოდით, გზას უქცევდით, უხვევდით. მალე ჩამოწოლილი ზეავი შევვარდა და ზედ ავედით. აქედან გადავედით კლდეებზე; მოვიყარეთ თავი ერთი კლდის ძირში და გადავწყვიტეთ აქ ღამის თვეა. ვერც კი მოვასწარით დალაგება, რომ ქვემო ხეობიდან ნიავშა დაუბერა და მთელ ტალღებად ზედ მოგვა-ყარა ნოტიო ნისლი და ბურუსი. ერთ წამში ყველაფერი დაბნელდა, თვალიდან დავკარგეთ მშეენიერი თოვლიანი მთე-ბი და მხოლოდ ერთმანეთის დაღრეჩმილ პირისახეებს-ლა ვხე-დავდით. დალამებას აღარ მოუკადეთ და მივწერით დასაძინე-ბლად. დილა ყინვიანი იყო და მთები დართეილა.

დილით გზა განვიაგრძეთ. გვივიარეთ რამდენიმე მანძილი და წავიაწყდით შესაზიარ ფრიალო კლდეს ყინულისას. რად-განაც გზა არ იყო, ამოვჭერით ყინულზე 200 საფეხური (კიბე) და ისე ავედით კლდის თავზე. გვივიარეთ კიდევ ცო-ტაოდენი მანძილი და შეგვხვდა ახალი კლდე ყინულისა, რო-მელზედაც აგრედვე ამოვჭერით 116 საფეხური და ისე ავ-ცოცლით.

შემდეგ გზა სულ კლდეებზე მიდიოდა. დილის ათი საა-თი იყო. დავნაყრდით და ხელ-ახლად გაუდექით გზას. ასი საეგნი რომ გვივიარეთ, ყაზახს პოტაპოვს გული იერია, თავბრუ დაესხა და უარი სთჭვა გზის გაგრძელებაზე. იგი აქ დავტ-ვეთ და გზა სამშა განვიაგრძეთ.

12 საათზე გავედით ვრცელ თოვლიან მინდორზე. ყაზახი ლაპკინი ისე გაიტაცა სურათმა, რომ უნებლიერ წამოიძია: — რა კარგი იქნებოდა, რომ აქ სოფელი გვეშენებინათ და მარხილებით გვესრიალაო... .

გამხვალ თოვლში მუხლებამდის ვითლებოდით. წინსელი ძალიან გვიძნელდებოდა. გვწყუროდა, მაგრამ წყალი არ-სად იყო. დავიწყეთ ყინულის წოვნა, მაგრამ ეს წყურვილს არ გვიკლავდა. ჩვენდა სასიხარულოდ შორი-ახლო მალე



წყლის ჩხრიალი მოგვესმა. მე თამაშად ვავემართე შეკვეთებენ, საიდანაც ჩხრიალი ისმოლა, მაგრამ ამ დროს უცბად სადღაც ჩავარდი. მივიხედ-მოვიზედე და დავინახე უძირო თრმო, თხელი ყინულით და თოვლით წაფარებული!

ჩემდა ბედად ის ადგილი, სადაც ჩავარდი, ღრმა არ იყო, თორემ ორიოდე ნაბიჯით რომ წინ ვადავარდნილიყავ, ჩემ ძვლებსაც ველარ იპოვნილნენ!

წყურევილმა მალე ისევ წყალი მომავონა და ისევ იქით-კენ გაუდექი, საიდანაც წყაროს ჩუქჩები მესმოდა. მივედი ჩხრიალის ადგილს, მაგრამ მწარედ მოვსტუცუდი: ქარი ავორებდა წვრილ ხორხოშელას თოვლიან ველზე, ახლიდა ერთ-მანეთს და ხმაურობაც თურმე ამისგან იყო. წყურევილის მოსაკლავად ჩვენ ისევ ყინულს მივმართეთ და ისე განვაგრძეთ გზა...

ნახვარი საათის შემდეგ ახლა მე ვიგრძენ გულის რევა, რომელსაც მალე მეორე უბედურებაც დაერთო: სამხრეთი-დან წიმოვიდა ნისლი; ის ხან ვამოჩნდებოდა მთის ზურგს იქიდან, ხან ისევ მიეფარებოდა, თითქოს იკრებდა ღონეს, რომ ერთბაშით მოსდებოდა მთას. აი, ზართლაც, შეირყა, მაღლა ავიდა და თოველის მრისხანე ზეავით ზედ ვაეკრა ჩვენ წინ მდებარე თოვლიან ველს. ნისლი ისეთი სქელი იყო, რომ ათ ნაბიჯზედაც ველარაფერს ვხედავდით, და ისეთი ციკი, რომ ტანისამოსზე თრთვილავდა.

რაღაც გულის რევა არ მიღებოდა, 31/2 საათზე და-ვიწყეთ მოხტრებული ადგილის ქებნა, რომ ლამე აქ ვაგვი-თია, შეგვესვენა და დილით ისევ განგვევრდო გზა. ვი-პოვნეთ ერთი ბოხჩა უთოველო ალაგი და ვადავწყვიტეთ აქ დარჩენა. ცოტა რომ მოვისვენეთ, ვავგზავნე ყაზახი ლაპკინი ქვევით დარჩენილ პოტაპოვთან მოსაკითხად და მასთან დარ-ჩენილი ბარგის ამოსატანად.

დაუბერა ცივმა ქარმა. მოვაგორეთ დიდრონი ქვები და კარგად მოვაყორეთ ლამის ვასათევი ის ერთი ბოხჩა ადგილი,



იმ შერიდან, საიდანაც ქარი უბერავდა. დაბრუნდა სალაშკრისა და სთევა, რომ პოტაპოვს ამოსველია არ შეუძლია, რაღანაც გული ერევა და თავბრუ ესხმისო. სალაშო ხანზე დავწეჭით, და რაღან ძალიან დაღალულები ვიყავით, მალე ჩიგვეძინა, მაგრამ სულ მცირე ხნით.

ლამემ საშინელი სიცივე მოიტანა. იმან გამომაღვიძა. თვალები რომ გაფაზილე, დაეინახე, რომ იმ საშინელ ნისლიდან, რომელიც ზემოთ ავწერე, მხოლოდ იქა-იქ-ღა მოჩინდნენ ნაფლეთები, და მუქი შავი ცა მოჭედილი იყო ვარსკელა-ვებით.

ყაზბეგის წვერის იქიდან წყნარად ამოდიოდა მთვარე და თავისი ნაზი შუქით თავს ევლებოდა მის თოვლიან თავს. აუწერელი დუმილი იდგა ირგვლივ, ხანდახან თუ გვიგონებდით ყრუ ჭახის ყინულისას და მის ხმოვან გამოძახილს ხადმე შორს ხევში, თორემ სხვაფრივ იქ სულ მცირე ნიშან-წყალსაც რისამე სიცოცხლისას ვერ ვხედავდით. რაღანაც ძალიან შეგვციდა, ყველანი იცდეჭით და დავიწყეთ აქეთიქით სირბილი. როცა პატარა შევთბით, ისევ დავწეჭით. ასე რამდენჯერმე გავიმეორეთ.

გათენდა. ყინვამ უმატა. ჩვენი ტანისამოსი სულ მთლად დაითროვილა და ჩვენც სრულიად გავფინხდით სიცივისაგან. განვაგრძეთ გზა. მივადექით ოვალ-უწვდენელ ციცაბო კლდეს. დავიწყეთ საფეხურების ამოთლა. მე საშინლად მომწუურდა წყალი. ლაპჟინს თავბრუ დაესხა და ცარახოვს კიდევ სისხლი წასკდა ცხვირიდან, რომელიც ძლიერს შეუწყვიტეთ ოვალის შემწეობით...

ციცაბოზედ ასელა ძალიან გვიძნელდებოდა და ყაზა-ხიც უარესად ხდებოდა: ძალზე კანკალებდა და კბილებს აკაწ-კაწებდა. ბოლოს განერდა და გამომიტადა, წინ-სელა აღარ შემიძლია, ოვალით მიბნელდება და მუხლებიც მეკეცებათ. უბრძანე უკან დაბრუ-ებულიყო. ყაზახი სირბილით წავიდა... დაერჩით ორნი.



191/2 საათზე, როგორც იყო, ციცაბო კლდეზე ივებით და გაფჩერდით ერთ მომტრო სწორ აღვილის დასავენებლად. ოსს კელავ იეშალა ცხვირიდან სისხლის დენა, რომელიც ძლიერ შევწყვიტე... უა სრულიად მოწმენდილი იყო და გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. სიცოცხლის ერთი ბეჭო ნიშან-წყალიც არ იყო აქ და მთელი დედამიწა, სადამდინაც კი თვალი მიმიწვდებოდა, მომწყდარს წააგავდა....

ფიქრში ეყიდვ გართული, რომ უეცრად დავინახე ლამაზი ჭრელი პეპელა! მევონა — თვალი მატყუებს მეთქი, მაგრამ არა: ის ხან მაღლა აფრინდებოდა და ხან დაბლა ჩამოფრინდებოდა, თითქოს თაშიშობდა ჰაერში. ჩვენ თვალს ვადევნებდით, სანამ არ მიიმალა. ხუთი წუთის შემდეგ იმავრიგად გაფრინდა მეორე და მესამეც...

ორის ნახევარზე მივედით ყაზბეგის აღმოსავლეთის წვერის ძირში. აქ ისმაც განაცხადა უარი მთაზე ასვლაზე, რადგანაც ყოვლად შეუძლებლად მიაჩინდა ამ იყუდებულ კლდეზედ ასელა. მეც ურჩიე დარჩენილიყო და მოეცადა აქ ჩემ დაბრუნებამდის. დაეიწყე მარტომ საფეხურების ამოჭრა და ზედ ასელა. მაგრამ ჯერ ათი საფეხურიც არ ამომეთალა, რომ ისეც მომყვა, ხან გაყინულ თოვლზე, ხან კლდეებზე, ხან წმიდა სპეტაკ ყინულზე და, ბოლოს, როგორც იყო, სრულ ოთხ საათზე ავედით ყაზბეგის უმაღლეს წვერზე! ეს იყო 29 ივლისს...

სრულიად დაქმაყოფილებული მშვენიერი სურათის ხილვით, რომელიც ერთბაშათ ირგვლივ გადაიშალა, — შეუდექ ბაირალის შემზადებას. ჩემს ბაირალს შეადგენდა გრძელი, ორ საექნ-ნახევრიანი ლატანი, რომელიც განვებ ამისათვის ამოვიტანე ამ სიმაღლეზე და წითელი ყუმაში, სიგრძით 4, და სიგანით — 3 არზინი. დავდგით ბაირალი და 41/2 საათზე იმავგზით შეუდექით ჩამოსხლას. ფრიალო ადგილებზე კიბე უკვე ამოჭრილი იყო, ამიტომ ძირს მეტად ჩარა ჩამოვდიოდით. სიხარულისაგან ზოგან თითქმის გორეით მოვდიოდით, ასე

რომ სული გვიგუბდებოდა. 71/7 საათი იყო, რომელისამაც ეცემა  
დიო ჩეენ უკანასკნელ ბინაზე, სადაც დაეტოვეთ ლაპკინი,  
და ერთხელ კიდევ შევხედე ყაზბეგს, რომელსაც მშვენიერად  
ანათებდა ჩიტურული მზის სხივები. იქვე ფრიალებდა ჩემი წი-  
თელი ბაირალი. მომაგონდა ლერმონტოვის ლექსი „ყაზბეგს“:

„თეთრი დოლბანი დასაბამიცვან . . .

შენს შექმუხვნილს შუბლს გარს შემოეკრის

და კაცის დრტვინვა ამპარტავნული

შენს ამაყს ძილსა ვერ შეაშფოთოს“...

ჩეენ კი მას არა თუ ძილი შეუშფოთეთ, დოლბანდიც  
კი დაუმშევენეთ წითელი ჯილით!..

ჩიტოველით პოტაპენკოსთან. მზე ჩიტოვენა, დაბინდდა და  
საქირო იყო გვეზურნა ღამის თევაზე. დაეიხადეთ დამძრალი  
ფეხსაცმელი და ფეხ-მოკეცილებმა გაეატარეთ მთელი ღამე.  
თუმცა ისე აღარ ციოლა, მაგრამ მაინც არ გაგვათბობდა!?.  
დილისთვის ფეხსაცმელი უარესად დაყინულიყო და ძლიერ-  
წავიცვით. ნისლისა და ნოტიოსგან კლდეები სულ მოყინუ-  
ლიყო და ყოველ ნაბიჯზე ფეხი გვისხლტებოდა და ვიტე-  
ოლით. 11<sup>1/2</sup> საათზე მივაღწიეთ იმ ყინულოვანს, საიდანაც  
პირველად დავიწყეთ სავალა ყაზბეგზე და დაებრუნდით სო-  
ფელ სანიბში, რომელიც რამდენიმე საათის წინათ საშინლად  
აეკლო ნიაღვარს, ყანები წაელევა და რამდენიმე წისქვილი და  
მიწური წაელო. სოფლის მოედანზე შევხვდი ოსებს. ერთმა  
მათვანმა მიმითითა ოხრების სურათზე და მითხრა: ეს სულ შე-  
ნი ბრალია! ყაზბეგზე შენ ახვედი, ღმერთმა-კი ჩეენ გადა-  
გვაზდევინომ... ეტყობოდა, რომ დანარჩენებიც ეთანხმებოდ-  
ნენ მოხაუბრეს. მე არ შევეცადე დამერლებია მათი აზრი, რად-  
განაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი ცდა ტყუილი იქ-  
ნებოდა და ისევ შემდეგი სიტყვებით ვანუგეშე ისინი: თავის  
დღეში არ ავიდოდი ყაზბეგზედ, თუ ჩემ ასელას ასეთი სამ-  
წუხარო შედეგი მოჰყვებოდა-მეთქი! ჩამოვედით კავკავში.


პირველი რეინის გზა მოებზე გამოიგონა ერთმა ამერიკულმა ინჟინერმა. ეს გზა კბილებიანი იყო. ის როგორ კეთ-დება რეინის კბილებიანი გზა: ორ ჩვეულებრივ რელსს შეა-კეთებდენ მესამე რელსსა, რომელიც კბილებიანია, ე. ი. ჩვეულებრივ რელსსაფიც სიპი და სწორი კი არ ირის, არამედ კეთებიანი, კბილებიანია. ყოველ ორთქლ-მავალს და ვაკონს აქვს ხუთ-ხუთი თვალი, მეხუთე თვალი იმავე ზომის კბილებიანია, როგორც შეა რელსი, და ზედ დადის. ამ მეხუთე კბილებიანი რელსისა და კბილებიანივე თვლის წყალობით ორთქლ-მავალი და ვაკონები სრულიად უშიშრად აღიან და ჩამოდიან დაქანებულ რელსებზედ, რადგანაც თვლის კბილები მავრად ეკიდება-ეკიდება რელსის კბილებს და არ უშვებს ორთქლ-მავალს და ვაკონებს, რომ დაგორძნენ...

პირველი ასეთი გზა გააკეთეს ვაშინგტონისკენ მთაზე  
აშერიკაში და შემდეგ უკროპაში—ალპების მთებში, რიგო-  
კულმის მთაზე და სხვა მთებში. რიგი-კულმის მთის გზას  
აქვთ 6½ ვერსი სიგრძე, ხოლო სიმაღლე 625 საეკნი ზღვის  
ზედაპირიდან. ამ რეინის გზით რიგი-კულმის მწვერვალზე  
ასელის უნდებიან ერთ საათს. გზა ისეა გაკეთებული, რომ  
უკავშირდ შეუძლებელია რაიმე უბედურება. როცა მატარე-  
ბელი ზევით მიდის, ორთქლ-მავალს ქვემოდან უყინებენ ვა-  
გონებს და ისე აწვება და აჰყავს ხალხი მთაზე; ხოლო როცა  
ქვევით მოდის, ორთქლ-მავალი ქვემოდან იკავებს ვაგონებს.  
რიგი-კულმის მთის თავიდან აღამიანის თვალშინ იშლება  
დიდებული სურათი—400 ვერსის მანძილი და სივრცე; აქე-  
დან ჩანს გარშემო ტყეები, მინდვრები, ტბები, 17 ქალაქი  
და 40 სოფელი...

1885 ජුලි ගායුරුවේ පෙළමිවෝ කඩිලුද්ධියා ග්‍රෑන්ඩ් සිංහල



მის მთაზე და აქვს სიგრძე 4 ვერსი, ხოლო სიღაფლებულება საენი. ცხადია, რომ ასეთი მოკლე გზა ასეთ სიმაღლეზე მეტად ფრიალო და დაჭანებული იქნება, მაგრამ მაინც ისეა გაკეთებული, რომ სრულიად არაეითარი შიში არა აქვს სადამე უფსერულში გადაწეხვისა. ამ გზის მთელი მატარებელი ჩვეულებრივ შესდგება ერთი ვაკონისგან, რომელშიაც თავსდება 32 კაცი, და ერთი ორთქლ-მავალისაგან, რომელსაც კუს ნაბიჯით ნელ-ნელა აჰყავს ხილხი ასეთ დაჭანებულ მთაზე!



იუნგფრაუს მთის რკინის გზა.

ყველაზე საყურადღებო ამ გზებში არის ალპების იუნგფრაუს მთის რკინის გზა.

იუნგფრაუ უმაღლესი და უღამაზესი მთაა მთელ ალპებში. სიმაღლე მისი სრული 4 ვერსია ზღვის ზედაპირიდან, და ამიტომ აღვილად წარმოიდგენთ, თუ როგორი მომხიბლავი სურათი უნდა გადაეშალოს აღამიანს წინ ამ წარმოუ-





დგენერალი სიმაღლიდან. ეს გზა ელექტრონულია, ესტრატეგიულია გონები აპარატს და ჩიმოპკავს ელექტრონულს ძალა და თვით მოელი გზაც ელექტრონით არის განათებული.



ამ ორი სურათი მოებზე ასაყვან რეინის გზებისა: ერთია-იუნგფრაუ მთის რეინის გზისა, ხოლო მეორე—ეეზუეის სან-გარის (ეულკანის) რეინის გზისა იტალიაში. ევროპიელები ამით არ კმაყოფილდებიან და ფიქრობენ გაიყვანონ ასეთივე გზა ალ-ჰების თვით უმაღლეს მწვერვალზე—მონბლანზე!..

ივ. როსტომაშვილი.





# მცხარე და აღამიანი

წერილი პირველი

სასაჩიგბლო მცხარენი

„სხვა საქართველო საფ არი,  
რამელი კუთხე ქვეყნისა!...  
ვ. ოჩბელიანი.

თავი პირველი



თლად ჩვენი სამშობლო უზარმაზარი  
ბალი-მაღნარია, ედემი და სამოთხეა.  
მართლაც და შემოავლეთ ლობე-მე-  
სერი საქართველოს საზღრებს — ტრა-  
პიზონიდან ბაბურთამდე, არაქის ნა-  
პირებიდან განჯა — ზაქითალამდე, და  
შერე-კი ლობეც აღარ სჭირია — კავ-  
კასიონის ქედი შევ ზღვამდე საზღვ-  
რავს. აი, ეს ამოდენა ქვეყანა ბუ-  
ნების ნამდეილი წალკოტია, ქვეყნის  
თვალია. თანაც რა ფრინველს, რა შეცს და ნადირს იკით-  
ხავ — შიგ არ ბუღობდეს, არ ბუნაგობდეს.

შეიძლება, რა თქმა უნდა, დამისახელოთ უფრო მდი-  
დარი იდგილები, ტროპიკული წალკოტები: ცეილონის კუნ-  
ძული, ბრაზილია და სხვა, მაგრამ აბა რას ბრძანებთ, განა  
რა შესადარებელია იქაური საშინელება: ლომი, გველი, ნიან-



გი, ვეფხვი და აუტონელი ჰავა, სიცხე პაპინაქება, ჭირულებულება-დარებელია საქართველოს კეთილ-შეზავებულ ზომიერ ჰავას-თან?...

მთელი ოცი საუკუნე შეურის თვალით შემოგვცეროდნენ ძლიერი მეზობლები; მოსვენებას არ აძლევდნენ მათ ეს პატარძალიერი მორთული, მდიდრად შემკული კეკლუცი ბუნება და მისი ახოვანი მცხოვრებნი, შევენიერი, თვალ-ტანა-დი, ჰაეროვანი ხალხი.

შერე და რათა ესოდენ ტურფა და მომხიბლავი ჩვენი საშობლო? აშეარია იმიტომ, რომ უხევად არის შემკული მრავალფეროვან, ათასგვარის და ჯიშის ხეებით და ყვავილობან ბუჩქ-მაღნარებით; მდიდრად არის მორთული მოლით და ზურმუხტივით მწვანე მთა-ბარით. მოაშორეთ ამ თვალთმიქა ბუნებას მცნარეულობა, და რაღა შევრჩებათ ხელში: ნაცრის ფერი საშინელება, შიშველ-ტიტველი, შესასრი მთა და ბარი.

დღევანდლამდე მეცნიერებაში ცნობილ და ანუსხულ არიან 150,000 გვარი მცნარე. ამ რიცხეში თითქმის 50.000 უყვავილო, ანუ სპორტიანი \*) მცნარენი ითვლებიან; ხოლო დანარჩენი ასი ათასი ყვავილოვანი არიან, რომელთა აყვავებას, ყვავილს აშეარად ვხედავთ. იი, ეს ამოდენა მცნარეები მთელ ქვეყანაშე სცხოვრობენ, — ჰავის შესაფერად არიან განაწილებულნი.

მთლიად დედამიწის ბურთი მეცნიერებს სარტყელებად აქეთ შემოხაზული. დედამიწის შუაგულს მზე პირდაპირ, გულდაგულ სცემს თავის ცხელ სხივებს. ამ სარტყელში აუ-

\*, სპორტი ბერძნელი ხიტყვაა. ამის დანიშნულება იგივეა, რაიც თესლის. სპორტი ეწოდება მეტად ჰაწია ბამს (უჯრედს), რომლითაც მრავლდებიან უყვავილო მცნარენი, მაგ. ხავხი, ჩადუნა, სოკოვები, კამი და სხვა.



ეროვნული იურიდიკული მუზეუმი

ტანელი სიცხე პაპანაქებაა.—ერბო-კვერცხი შეიწყო არა მარტინ ან გვარის და ჯიშის შეცნარე და ცხოველი ცხოვრობს, რომელთაც თონის სიცხეშიაც-კი შეუძლიათ ფუფუნება.—ხოლო დედამიწის ბურთის თავსა და ბოლოზე (პოლიუსებზე) მთლიად ყინულია, ყინულის სალტე არტყია. მიუხედავად ამისა ზოგან ამ სარტყელზედაც-კი იხერხებენ ზოგიერთი მცენარენი და ცხოველებიც-კი ბოგინობას. მაშასადამე საუკეთესო ადგილიად დედამიწაზე ითვლება ციცხა და ცხელ სარტყლის შუა მდებარე ქვეყნები, საღაც სიცივეც ზომიერი იყის და სიცხეც შესაფერი. აი, ამ კურთხეულ ქვეყნებს შორის მდებიარობს ჩვენი ძვირფასი სამშობლოც. \*)

მაშასადამე საქართველოში ცხოვრობენ შხოლოდ ზომიერი ჰავის მოყვარული მცენარენი. ამოვარჩიოთ ამათგან და ავწეროთ, რომელნიც დიდად სასარგებლონი არიან აღამიანის-თვის. მაგრამ ეხლანდელ დროში, როდესაც მისცლა-მოსცლა ასე ძრიელ გაადვილდა, რამაც ძალიან დაუახლოვა ერთმანერთს შორეული ქვეყნები, ჩვენ უხვად ვსარგებლობთ იმ უცხო მცენარებითაც, რომელთაც შხოლოდ ტროპიკული იმერიკის ანუ აფრიკის ბუნება ზრდის თავის წალკოტში. დიდ, ჩვენ დროში კარ-ჩაკეტილობა აღარასფერში აღარ გამოგვადგება:—უნდა გავიცნოთ ყველა ქვეყნების სასარგებლო მცენარენი, მათი თვისება და შნიშვნელობა აღამიანის ცხოვრებაში. უცხო ქვეყნებიდან მოეზიდებიან ჩვენთვის აუარებელ მცენარეულობას სამკურნალო წამლებისთვის, საჭმელ-სასმელისთვის და შინა მრეწველობა—მეურნეობაში მოსახმარად. დავისახელოთ ყველა, უცხოცა და შინაურიც.

\*) მაშასადამე მთლიად დედამიწის ზურგი გეოგრაფებს განუყოფათ ხეთ დიდ კლიმატიურ სარტყლად. ერთი ცხელი სარტყელი ევვატორის გარშემო, ორი ზომიერი სატრაქლი (ცხელის მარჯვენივ და მარცნივ), და ორი სარტყელიც ციცხა (დედამიწის თავსა და ბოლოს პოლიუსები).

შეცნარე მახალა (ხე-ტუე), ავეჯეულობა, საწვავი შეცნა  
და ტანისამოსი.

ოდაშიონის შეილი უწინარეს ყოვლისა იმის ეძებს, რაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეაღენს; ის-კი, რაც მისთვის მხოლოდ თვალის სასიამოვნო სანიაობას შეაღენს, სულ ბოლოს იყოსო, ამბობს: იქნება-კარგია, და თუ არ იქნება—ისეც იოლის წავალო.

საზოგადოდ ზნეობრივი კმაყოფილება და სულიერი სიტყოფება მაშინ ავონდება ადამიანს, მაშინ საჭიროობს და მიისწრავების ცისკენ, როდესაც მისი ცხოველური არსებობა, პრაქტიკული მხარე ცხოვრებისა და კმაყოფილებულია, უზრუნველყოფილია. ამიტომაც უველა ქვეყნის ხალხი შეცნარებს ჯერ მხოლოდ მუშტრის თვალით უკეროდა:—რა შეცნარეც მას აძლობდა, ჰკურნავდა, სახლს უშენებდა, ივეჯად და იარაღს აძლევდა, ათბობდა და ტანს უმოსავდა, სწორედ ამ შეცნარებს აფასებდა, ახლოდ იცნობდა.—იი, ამგეარად ადამიანმა თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლიდ საიკუნოების განშევლობაში შექმნა მთელი მრეწველობა—მეურნეობა ხეტყისა და აუარებელ მეცნარეულობისა.

მაშინ მთავარ საგნად ჯერ ავილოთ ხე.—სადაც კი ჩვენში ტყეები მხეცურად გაჩეხეს და ძირიან-ფესვიანად ამოაგდეს, როგორც მაგალ. კოლა-არტაანში და ჯავახეთში \*), იქ რისაკვირველია მთა-და-ბარი ტიტველაა. საწვავ მასალიად ხშარობენ წივას, (აგურის ტოლიად მზეზე გამხმარ შინაურ საქონლის ნეხეს) სწვავენ აგრეთვე საღმე კიდევ ნაპოვნ ბურქნართა ძირებს, კაჭაჭებს და სხვა. ხოლო შეცნარის მასალიად ხეებს მოეწიდებიან საციციანოდან, ბორჯომის და აბასთუმნის ტყიდან-ხეობიდან.

ევროპის განათლებულ ქვეყნებში, სადაც ტყის მეურნეობა მეცნიერულ ნიაღაზე დაყენებული, თავიანთ წინა-

\* ) მესხეთიც ნაწევარზე მეტი გაცარცულია, უტყეოდ ცხოვრობს.



პრების გაფუქებულ საქმეს ისევ თვითონ ასწორებუქნაშუალება  
ვან, სადაც კი ეტყობა, რომ ტყე ყოფილა, ხელ-ახლად  
სთხესნ, რგავენ და ათიოდე წელიწადი მოტიტვლებული მთა  
და მისი გვერდა კალთები იხალგაზდა ტყით იმოსება, ხარობს.

ხეებშიაც დიდი განსხვავებაა: მაგალითად ხე-ტყედ, შე-  
ნობის მასალად ხშარობენ მძიმე, მაგარ ხესაც და მსუბუქსაც.  
ხოლო საწვავად უკეთესია მაგარი ჯიშის ხეები: ნაკვერცხალს  
ბევრს იძლევა, ბუხარს ძრიელ ახურებს. მსუბუქ და ჩბილ  
ხეებად ითვლებიან მარად შწვანე წიწვიანი ხეები, მაგალითად:  
ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, იგრეთვე ცაცხვი, ვერხვა, წნორი (ტი-  
რიფი), აჩყი, მურყანი (თხმელი) და ცხენის წაბლა.

მაგარ ჯიშის ხეებად ითვლებიან შემდეგნი: ნაკვერჩხალი  
(ქორაფი), წილელი, პანტა, წაბლი (ნამდვილი), მუხა, იფა-  
ნი (კოპიტი), კაკალი (ნიგზის ხე), ჭანდარი, ალუბალი.  
რცხილა (ჯაგ-რცხილა, თეთრი რცხილა, წითელი რცხილა),  
შვინდი, აკაცია (ლობიოს ხე), აკაკი, თელა, ბზა, პალი-  
სანდრის ხე, გვაიაკას ხე, ხე-რკინა, ძელქვა და სხვა.

უკელა ამ ხეებს თვისების მიხედვით სხვა-და-სხვა დანი-  
შნულება აქვთ აღამიანის ცხოვრებაში. ამ ხეებში ბევრი  
იმისთანა ურჩევია, რომ უკელა მისი ნაწილი დიდის სარგებ-  
ლოთ იხმარება. ავილოთ, მაგალითად, თუნდ წაბლის ხე, რო-  
მელიც დასავლეთ საქართველოს ტყეებში ასე ბლობად გა-  
რეულად იზრდება. თითო იმისთანა წაბლის ხეს შეხვდებით,  
რომ მის კინწერის თვალს ვერ უწვდენთ. ზოგის სიმაღლე  
+10 ადლს უწევს, ხოლო ტანის სისქე ძირთან, მისი დიამეტ-  
რი, ერთი საერთო (გარდი-გარდო). — აქედან იღვალი წარმო-  
სადგენა თვითეული ხე რა აუარებელ მასალის იძლევა.  
წაბლის ხიდან აშენებენ ეკლესიებს, სახლებს, და ძრიელ დიდ-  
ხანსაც სძლებს მისი ფიცარი. არც ლპება და ვერც ჭიები აკ-  
ლებენ რასმეს; შეუძლია ნახევარი საუკუნე მეტი გემსახუ-  
როთ. იგივე ხე, ინუ მისი დვირი იხმარება ავეჯის მოსამ-

ზაღებლად; სარკესაებზე პრიალებს, კაკლის ხეს არ ჰქონია უკავშირებელი დება. ამზადებენ იგრეთვე წაბლის ხის ბოჩქებს, თანაც ირჩმუნებიან, რომ ლვინოს მშვენიერად ინახავს: არც გემოს უცელის, არც ფერსაო. ახალგაზდა ხეებს წაბლისას კიგოდ, სარებად უდგამენ ვაზებს ვენახში; იგრეთვე ბოჩქების სალტებსაც ამზადებენ. ქერქიდან მშვენიერ მასალის ამზადებენ დაბალები ტყავის გამოსაქნელად, გამოსაყავანად; ქერქისავანვე შეიძლება კარგი მელანი მომზადდეს; ყლორტები, ფოთლები, ნაყოფის ნაფცევენი იხმარება შავი სალებავის მოსამზადებლად. წაბლი (ხილი) მშვენიერი და ნოყიერი საჭმელია ნედლად და შემწევარიც, (მოხალული). სამხრეთ ეკროპაში წაბლის (ხილის) პურის მავიერად ხმარობენ. წაბლილიან (ხილილან) ხდიან ზეთს, შაქარს, ამზადებენ პასტილის, კონფექტებს, ხოლო გამხმარ, მოხალულ წაბლის ხმარობენ ყავის შავიერად. როცა წაბლი ყვავილშია, მას ძრიელ ეტანება ფურქარი, ძრიელ ბლობად იძლევა ნეკტარს და სხვა.

ყველა სასარგებლო ხე ასე რო იეწეროთ, საქმე შორს წავია, და საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ხის მასალით მისი თვისების და გვარად სარგებლობენ. მავარი მუხის ხე მიღის რკინის გზის ლიანდაგის შპალებად; გვემების ანძებად იხმარება სოჭი,—სწორი და ძრიელ მაღალია. სახლის იატაკისთვის და ქერისთვის დიდ ხმარებაშია ფიქვის ფიცარი—ფისიანია და დიღხანს არ ლპება ნოტიოში. ხე, რომელსაც ეწოდება უთხოვარი, მშვენიერ მასალის იძლევა; ამისგან ბოჩქების ონკანებს აკეთებენ. ბზა ისეთი მავარი ხეა, რომ ზედ ამოსჭრიან ხოლმე ნახატებს, სურათებს კინკოგრაფიისთვის და სხვა... ასანთის წკირებს ამზადებენ ვერხვასაგან. პენკელის სიტყვით, თლონების გუბერნიაში ათი ათასი დესეტიზა ვერხვის ტყვებაფავთ მარტო ასანთის წარმოებისთვის, წკირებისთვის.

სკრიპტის დეკებისთვის ხმარობენ ერთ-გვარ ნაძვს, დამანიჯებულ ჯიშისას, რომელსაც პახელფიზტეს უმახიან. ბოჩქების სალტებად და პოვოზების თველებისთვის არყის და თხი-



ლის ხეს ხმარობენ. ხარატების სახელოსნოში შესფრდებისგანცემა  
საკუთრებით მავარ ჯიშის ხეს—მსხალი, შვინდი, ნაკერჩხალი,  
უთხოვარი და პალისანდრის ხეს. კაგლების ბურთებისთვის  
ხმარობენ კველაზედ უმძიმეს ხის მასალის, ეგრედ წოდებულ  
ხე-წმინდას. ავეჯის ფანერკებად სიფრიფანად ხევენ (ამ ქაღალ-  
დის სისქელ) კაკლის ხის ნუსრს, აგრეთვე იფანს, ნაკერჩხალს,  
წითელ ხეს, ებენის ხეს, პალისანდრის ხეს. ხის ჭურ-  
ჭელის მოსამზადებლად ჭურთნიან წიფლის ხეს, ცაცხეს,  
ჭორაფს და სხვ... თოფის წამლის (ბარუთის) მოსამზადებლად,  
აგრეთვე სამზატვრო ნახშირისათვის, ხმარობენ განსაკუთრებით  
ისეთ ხეს, რომელიც ნაკლებ შეიცავს ორა—ორგანიულ ნიკ-  
თიცრებას. იხმარება ცაცხეს, ხე-შავა და სხვ. კალათების და  
გოდრების დასაწნავად იხმარება ზოგიერთი ძეწნა, ანუ წნო-  
რის ხე; აგრეთვე თხილის წნელი და სხვ. სალამურს, დუ-  
ღუქს ერთნაირ ქლიავის ხიდან ამზადებენ. შემოტკებისთვის  
არყის ხე იხმარება. ბოთლების დასაცეავად პრობკებს (მახარას)  
ამზადებენ პრობკეს ხიდან. პრობკეს იძლევა ერთგვარი მუხის  
ხე (პრობკის მუხა).

ზოგ ძველებში, საღაც ტყით ღარიბი არიან, ხის მა-  
გიერ ჩალას ხმარობენ. ჩალა ჩვენშიაც იხმარება სახლების  
დასხეურავად და სხვა. ცხელ ძველებში ზოგან მკლავ-  
ზე უმსხოსი იხრდება, ხმარობენ საწვავად, როგორც შეშას,  
აგრეთვე ღობის მესერის შემოსავლებლად; გზა-ტკეცილებზე  
აგებენ ხვინჭის მაგიერ, ხოლო სადაც ჩალის ჯიშის მცენარე  
უფრო დიდრონი იხრდება, მაგალითად ინდოეთის ლერწამი, ანუ  
ბამბუკი, ისევე იხმარება, როგორც ჩვენში ხე \*). იაპონიაში  
ბამბუკი დიდ ხმარებაშია — აშენებენ მსუბუქ სახლებს (რაღა-  
ნაც თითქმის ყოველ ცისმარე დღე იაპონიაში დედამიწა არ  
ისვერებს — რყევასა და ნძრევაშია). უფრო სქელ ბამბუკისაგან  
ხიდებს აშენებენ და სხ...

\* ) იავის კუნძულზე იზრდება ეს ჩალა — ბამბუკი, სისქით მტკაცელ-  
ნახვები და სიმაღლით — 30 ალი.




ჩემი გროვარი ჩალა იზრდება—ჭილი რთვების მიერა  
ამისაგან ვამზადებთ კარგ ჭილობებს, რომელიც ფარდაგის  
და ხალის მაგიერ იშმარება ხელ-მოკლე ოჯახში, სადაც მატყ-  
ლი ძეირია, ან სიღარიბეა. ოჯახში დაწერილ ჭილობიდან  
დოშავებსაც იკეთებენ.

ჩვენში ბევრგვარ მცენარისაგან (ახლოგაზრდისაგან) გრეხენა წნელს, თოკების და ბაწრის მაგიერ სახმარებლად; —ტრეპსა-ც-კი წნელით ჰქოვენ. ვენაბში ვაზის სარჩე მისაბეჭლად იხმარება სფრა, კაკლის და თუთის ხრალი (ყლორტებისა) და აგრეთვე ძეწნის ანუ ტირიფის წნელი. ცხელ ქვეყნებში ამავე მიზნით იხმარება ლიანის ყლორტები, რომელნიც ჩვენებურ ციცაბარდახავით, ანუ უსურვაზივით, მოელ ტყეს ხლორთვენ ტროპიკულ ქვეყნებში.

ერთგვარი ლერწამიც იზრდება ცხელ ქვეყნებში, რომელსაც ლათინურად პალმა ჰქვია. ამის შიდა ქერქისაგან (შიდა ხრალისაგან) გრეხავენ თოკებს. რუსეთშიაც დიდად ირის გვირცელებული ცაცხვის ტყავისაგან მომზადებული მასალა—ხრალი. ამ ხრალისაგან სწნავენ პატარა ფარდავებს, რომელიც უმთავრესად ისმარება ქალამწებად.

ကြော်ချွေကြော်





ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ

თამარ და ნინო ქუჩიუკაშვილებისაგან შეეროვნილი და-ზარალებულ იყვარელთა სისარგებლოდ.

შარიამ, ანულიკა, სტეფანე და სერგო სპანდარიანები-  
საგან—64 კ., თამარ, ნინო და ქეთევან ქუჩუკაშვილებისა-  
გან—64 კ., შარიამ ჩივაძისაგან—15 კ., ანასტასია ზუბიაშვი-  
ლისაგან—12 კ., ნადია გოგინევისაგან—10 კ., შალვა მაჭა-  
ვარიანისაგან—10 კ., კოლა ზორინისაგან—5 კ., ბაბო მა-  
ჭავარიანისაგან—5 კ., ლილი და კოტე ყიფიანებისაგან—3 კ.,  
ილო ~~ბარებულისაგან~~—6 კ.





# „ნაკადული“-ს რედაქციაში

და

ცენტრალური სტატისტიკური წიგნის გაღმისაში იყიდება გამდინარებული წიგნები:

1)	ტომის თავვადასაფალი,—თხ. მარკ ტვენისა, თარგმ.	გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . .	50 კ.
2)	რას გვიამბობს ოთახი,—თხ. ავენარიუსისა, თარგმ.	გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . .	20 კ.
3)	დასურათებული ახაწყობი ანბანი,—ფასი. . . . .	1 გ.	20 კ.
4)	სკრუჟი და მარლეინ,—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ	დიკენისისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი .	25 კ.
5)	დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები პ. ქ. ან-	დლერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა	
	და რ. კიპლინგისა, ფასი. . . . .		30 კ.
6)	ბავშვობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . .		60 კ.
7)	ორი მხატვარი,—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . . .		15 კ.
8)	სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული სტუმა- წვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. . . . .		30 კ.
9)	შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, —ნინონა- კეშიძისა, ფასი. . . . .		5 კ.
10)	ახალგაზრდა მეცნის სიზმარი და დევი—ეგონისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკევერიანისა, ფასი. . . . .		5 კ.
11)	დათო,—ირ. ევდოშევილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი. . . . .		5 კ.
12)	მოთხრობები,—ლიკერლეფისა და სხვა უცხო მწერ- ლებისა. . . . .		5 კ.
13)	იგავ-არაკნი,—125 დასურათებული, პატარა მოთხ- რობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილი- სა, ფასი. . . . .		75 კ.
14)	ბიძია თომას ქოხი,—რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ- თა განთავისუფლების დროისა, სურათე ითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა. 1 გ. 25 კ.		

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ სიყმაწვილო კურნალ ისრაელის განვითარება

# „ნაცადული“<sup>—ზ</sup>

წელიწადი მეთვრამეტი

კურნალი ნაცადული გამოვა წევრულებრივი პროგრამით, სავანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**24 წიგნი „ნაცადულისა“**  
მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი „ნაცადულისა“**  
მოზრდილთათვის.

**36 სურათი ნაცადულის 1-ლ გვ. 830-დან.**

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“, —სამეცნიერო შეკრებიდან ისესებ ყიფშიძის მიერ.

ფასი კურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 გვ. ნახვაზ წლით—3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 გ., მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიდაც.

საზღვაო გარედ: ერთი წლით 7 გ., ნახვაზ წლით 4 გ.

ესთოვეთ ხელის მომწერლებს თუ კურნალი „ნაცადული“ არ მისდით, ერთი თვის განშევლობაში გვაცნობონ და იღრესის გამოცვლის დროზე შეგვატყობინონ. იღრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მირებით გამოგზავნონ.

**ხელის მოზრა მიიღება**

ტფილისში—„ნაცადულის“ რედაქციაში, ზუბალა შეიღის ხელი, კოლოვინის პროსპ. № 8. რეაქცია „Накадуан“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კიოხვის გამეცრებულებელ სახოვალოების წიგნის ბალიზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კეიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრი შეიღილთან. სამტრედიაში—ვლ. ნაცეცლიძესთან. ფოთში—თეო-ფილე კანდელაკთან დაკ. თელიისთან. ბათოში—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ტ. ანასტრასია ლომინაძესთან. ოზურგეთში ტ. ლან-ჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პატაშვილთან. ხალ-ციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—ნინო გელაშვილთან. გორიში—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. ჭია-თურაში—ივ. გომელაურთან. ერევანში—ქ. ოდიშარიასთან. ალე-ქანდროპოლიში—ს. შატერა შეიღილთან. ნახიჩევანში—სამ. მარჯანი-შეიღილთან. ხონში—მ. ი. ჭივეანიძესთან. რედაქტორი ნინო ნაცაშიძე გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.